



2011 წელი, 21 აპრილი - 5 მაისი

ფასი 1 ლარი

ახალი ბენათლები

№16 (530) აპრილის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



„ღეს დაასრულა ძაცხოვარბა საფუკელი ახლისა აღქმისა, ღეს მან ძიწაფეთა თვისთა უკანასკნელნი თვისნი დდნი მცნებანი და სწავლანი, ოღეს დააწესა მან უძთაერესი ქრისტიანული საიდუმლო წაირებისა, ღეს მისცა მათ უძაღლესი სახე და ძაგალითი ქრისტიანული სიძაბლისა და სიყვარულისა, ღაბანა რა ფერხნი ძათნი. ერთი სიტყვით, როგორაღაც აღღტოძა ქრისტესი არის ღაგვირგვინება ძისისა საქმისა და ზენი სჯულისა, მზგავსაღვე ღღეკანღელი ღღე იყო შეკსება და ღასრულება ძისისა სჯულის ღებისა.“

წმინდა ძღვეღმძთავარი გაბრიელი (ქიქოძე)

**„თქვენ
მოგვიყვანეთ
აქამდე და
მოგავალშიც
გაგვამარჯვებინებთ
თქვენი
მოკრძალებული,
მაგრამ ღიღად
ღასაფასებაღლი
ურომით“**

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საჯარო სკოლა გახსნა. პრეზიდენტმა სკოლების რეაბილიტაცია და სასკოლო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დაასახელა და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობს.

ტაძრისის სკოლა, რომლის მშენებლობაც მსოფლიო ბანკმა დააფინანსა, 400 მოსწავლეზე გათვლილი (ამჟამად 303 მოსწავლე სწავლობს). სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, კომპიუტერების ოთახი, სამეცნიერო ლაბორატორია. პროგრამა „აინშტაინის“ ფარგლებში სკოლას ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორიები გადაეცა.

ტაძრისის საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო ოლიმპიადებში და სხვადასხვა კონფერენციებში. საქართველოს პრეზიდენტმა მათგან ორი, მეცხრეკლასელი მამუკა გოგოლაძე და მერვეკლასელი ნათია სამსონიძე წარმატებული სწავლისთვის პორტატიული კომპიუტერებით დააჯილდოვა.

ტაძრისის საჯარო სკოლაში მიხეილ სააკაშვილმა პედაგოგებთან შეხვედრა გამართა. პრეზიდენტმა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა დადებითად შეაფასა და განათლება სახელმწიფოს განვითარების მთავარ

ქვაკუთხედად დაასახელა. მისი თქმით, განათლების სისტემა ათჯერ უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისაა, ვიდრე ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობა.

„ჩვენ გვინდა გავზარდოთ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები, ავტონომიური პიროვნებები,“ – განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ ღღეკანღელი საზოგადოებაში სწორედ ასეთი ადამიანები იძოვნიან საკუთარ ადგილს და მიაღწევენ წარმატებას.

პედაგოგებთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა განათლების რეფორმის თითქმის ყველა მიმართულებაზე გაამახვილა ყურადღება: მასწავლებლის როლზე და სერტიფიცირებული პედაგოგებისთვის ხელფასის მომატებაზე; არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის გაძლიერებულად სწავლებაზე და ამ მიზნით, ბილინგვური სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე; მოსწავლეთა დასწრებაზე; მანდატურის სამსახურის შემოღებით სკოლებში წესრიგის აღდგენაზე; სასკოლო ოლიმპიადებზე; პროფესიული განათლების აუცილებლობაზე. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა მომავალ სასწავლო წელს 60 ათასი პირველკლასელისთვის საჩუქრად ნეთუქების გადაცემას, რომელიც საქართველოში დამზადდება და მას არა მხოლოდ მოსწავლეები, მასწავლებლებიც მიიღებენ.

გვერდი 3



C M Y K

ინფორმაცია



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ინიციატივით, საჯარო სკოლებში, ყოველთვიურად, სკოლებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების აქციები მოეწყობა. მასში მონაწილეობას სკოლის მანდატურები, მოსწავლეები, პედაგოგები და კურსდამთავრებულები (მათ შორის ცნობილი) მიიღებენ.

16 აპრილს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი 52-ე საჯარო სკოლას ეწვია და, როგორც ამ სკოლის კურსდამთავრებულმა, თავად მიიღო მონაწილეობა სკოლის დასუფთავებასა და ხეების დარგვაში.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ყოველთვიურად, მსგავსი აქციის მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეები, პედაგოგები და მანდატურები სკოლის სისუფთავეზე, გამწვანებასა და ჯანმრთელი გარემოს შექმნაზე ერთად იზრუნებენ.

52-ე საჯარო სკოლის პარალელურად, დასუფთავების აქცია ერთდროულად ყველა სკოლაში მოეწყობა. მოსწავლეების, მასწავლებლების, მანდატურების, წარმატებული კურსდამთავრებულებისა და ცნობილი ადამიანების მონაწილეობით მსგავსი აქციები ყოველთვიურად გაიმართება.

„ეკოლოგიის დღე“ თბილისის დიმიტრი უზნაძის სახელობის 22-ე საჯარო სკოლაში

მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება ჩვენი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მთავარი მიმართულებაა, რომელიც ეფუძნება დიმიტრი უზნაძის ეფემერული პრინციპს – „სკოლა პატარა სახელმწიფოა და მოსწავლეები მისი მოქალაქეები არიან“. სწორედ ამიტომ, სკოლა ხშირად მიმართავს ისეთ სამოქალაქო აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სკოლისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდას და სკოლის მართვაში მათ გააქტიურებას.

ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა „ეკოლოგიური დღეების“ ორგანიზება. 16 აპრილს სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების 200 მოსწავლე სასკოლო შაბათობაში მონაწილეობდა. პედაგოგებთან ერთად, ისინი შესაბამისი ენერჯით შეუდგნენ ეზო-გარემოს დასუფთავებას, ყვავილებისა და ხეხილის დარგვას. მათ გვერდით შრომობდნენ მანდატურები: დიანა გელიტაშვილი, ნუგზარ კოდალაშვილი და გიორგი ათინაშვილი.

შაბათობაში მონაწილე ყველა მოსწავლემ სკოლის მიმართ ნამდვილი გულშემატკივრობა გამოხატა. დასუფთავდა სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, სკოლის სახელოსნოები, საგულდაგულოდ გამწვანდა სკოლის მიმდებარე ტერიტორია, დაირგო 10 ძირი კვიპაროსი და გაშენდა ყვავილნარი.

მედეა ნაცვალაძე
VIII კლასის დამრიგებელი



თბილისის ტურიზმის აკადემია

2011 წლის 21 აპრილიდან აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასააკავებლად შიმშილს აკადემიურ თანამდებობებსა და მიმართულებებს:

1. სრული პროფესორი

ვაკანსიები: ტურიზმისა და ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით – 2; მარკეტინგის მიმართულებით – 1; ეკონომიკის მიმართულებით – 1; ფინანსების მიმართულებით – 1; ისტორიის მიმართულებით – 1; კულინარია და მეღვინეობის მიმართულებით – 1.

2. ასოცირებული პროფესორი

ვაკანსიები: ტურიზმის მიმართულებით – 2; მენეჯმენტის მიმართულებით – 2; მარკეტინგის მიმართულებით – 2; ეკონომიკის მიმართულებით – 2; ფინანსების მიმართულებით – 2.

3. ასისტენტ-პროფესორი

ვაკანსიები: ტურიზმის მიმართულებით – 2; მენეჯმენტის მიმართულებით – 2; მარკეტინგის მიმართულებით – 2; ეკონომიკის მიმართულებით – 2; ფინანსების მიმართულებით – 2.

საბუთების მიღება იწარმოებს 23 მაისიდან 10 ივნისამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 10 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №47, აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან 1 თვის შემდეგ, 2011 წლის 11-12 ივლისს; მეორე ეტაპი – 2011 წლის 15 ივლისს.

პირველ ეტაპზე მოხდება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ინფორმაციის) ანალიზი და შეფასება (პირველ ეტაპზე გასული კონკურსანტების მონაცემები გამოქვეყნდება აკადემიის ვებგვერდზე www.turizmiedu.ge, 2011 წლის 13 ივლისს).

მეორე ეტაპზე გაიმართება პირველ ეტაპზე გასული კონკურსანტებთან გასაუბრება (გასაუბრება შესაძლებელია განხორციელდეს ინტერვიუების სახით, ტექნიკური საშუალებებით).

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება აკადემიის ვებგვერდზე www.turizmiedu.ge, კონკურსის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშნვა და ხელშეკრულების დადება განხორციელდება შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულ აკადემიურ პერსონალს დაენიშნება ფიქსირებული ხელფასი: სრულ პროფესორს – 700 ლარი; ასოცირებულ პროფესორს – 500 ლარი; ასისტენტ-პროფესორს – 300 ლარი.

დაინტერესებულ პირებს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სალექციო კურსების ჩამონათვალი შეუძლიათ იხილონ აკადემიის ვებგვერდზე www.turizmiedu.ge ან მობრძანდნენ აკადემიაში.

დანვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეფონის ნომრებზე: 93 66 03, 98 86 82.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით, საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევა დაიწყო. 2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრები 4 დისციპლინაში მიიღებს მონაწილეობას. ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის გუნდებს, წელს პირველად, ბიოლოგიის ნაკრებიც შეუერთდება. თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში გაიმართა შესარჩევი წერიტი ტურები სამ დისციპლინაში. ფიზიკის, მათემატიკისა და ბიოლოგიის წერას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური დააკვირდნენ.

შესარჩევი ტურებში ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული 50-მდე VIII-XII კლასის მოსწავლე მონაწილეობს, მათ შორის 2010 წლის ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელი ცოტნე ტაბიძე. წერიტი ტურების შემდეგ შეირჩევიან ნაკრები გუნდების წევრები და რეზერვისტი მოსწავლეები, რომლებიც ერთთვიან სპეციალურ მომზადებას თბილისსა და ბაკურიანში გაივლიან.

საერთაშორისო ოლიმპიადებში, საქართველოს სახელით, სულ 19 მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. ისინი მიმდინარე წლის ივლისში ტაილანდში, ტაივანსა და ნიდერლანდებში გაემგზავრებიან.

საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით შესაძლებელია მიმდინარეობს.

„თქვენ მოხვდებით აქამდე და მოხვალთ ბაზაარჯიშებით თქვენი მოკრძალებული, მარამ დიდად დასაფასებელი შრომით“

ბიზნესში ამონარიდებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვიდან:

ყველაფრის საფუძველი სკოლაში იდება. სწორედ სკოლაში იქმნება ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი. რა იყო საბჭოთა სკოლა? დიდა ასეთი იყო, უნდა ყოფილიყო ციხე-კოშკი, გალავანი, რომლის შიგნით შეღწევა წარმოუდგენელი იქნებოდა და ნიგნები უნდა დაგვეზიარებინა. მეც ასეთ სკოლაში გავიზარდე და თქვენც. პრინციპში, მოთხოვნაც ეს იყო, რადგან საბჭოთა კავშირი მორჩილ ქვეშევრდომებს ზრდიდა. ჩვენ გვინდა გავზარდოთ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები, ავტონომიური პიროვნებები, რომლებიც გლობალიზებული სამყაროს, დემოკრატიული საზოგადოების, საქართველოს მრავალეთნიკური და მრავალენოვანი საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებენ, საკუთარ ადგილს მონახავენ და წარმატების მიღწევის სწორ გზას აირჩევენ.

განათლების სისტემა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გვექონდა, ხაზს უსვამდა ჩვენს განსხვავებას. ხაზგასმით მიგვანიშნებდა ნიშნები - იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ცხოვრობ, შენ ხარ სომეხი, შენ ხარ აზერბაიჯანელი, შენ ხარ აფხაზი, შენ ხარ ოსი, შენ ხარ კათოლიკე, შენ - მართლმადიდებელი, შენ ვერელი ხარ, ხოლო შენ - ვარკეთილელი. პირადად მე, როდესაც ერთი სკოლიდან მეორეში გადავედი, პირველი შეკითხვა, რომელიც დამისვეს, იყო: რატომ გადახვედი ამ უბნიდან იმ უბანში? ვის იცნობ? რა გავების ხარ?

ჩვენ ვქმნით ისეთ სკოლას, რომელშიც ხაზი უნდა გავუსვალ ჩვენს ერთიანობას. სწორედ ამიტომ ვინცერთ ქართული ენის გაძლიერებულ სწავლებას და საგნების 30% არაქართულ სკოლებში ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, რადგან საქართველოში ქართული ენის გარეუბნის წარმატების მიღწევა შეუძლებელია. შემოგვაქვს ინგლისური ენა, რადგან გლობალიზებული სამყაროს ნაწილი ვართ და სწორედ ამიტომ, აბიტურიენტების 70%, ნელს, საქართველოში უცხო ენის გამოცდისთვის ირჩევს ინგლისურ ენას. შარშან კი, ინგლისური ენისა და რუსული ენის ჩაბარების მსურველი თანაბარი რაოდენობით იყო - 40-40%. ახლა რუსულს მხოლოდ 10% აბარებს. რუსული პროგნოზი კლასიკური არჩევითი ენა იმიტომ არ გამხდარა, რომ რუსულს ვემტერებით. თუ ხვალ კომუნიკაციის საყოველთაო ენა რუსული იქნება და თუ ჩინელისთვის, ნორვეგიელისთვის, ამერიკელისთვის წარმატების მისაღწევად აუცილებელი იქნება რუსულის ცოდნა, ჩვენც უნდა ვისწავლოთ. ჯერჯერობით ეს ასე არ არის და, სამწუხაროდ, რუსულმა ენამ ის პოზიცია დაიკავა, რომელიც ეკავა ამიტომ, უნდა გადავიდეთ იმ ენაზე, რომელიც ყველაზე მეტად მოგვცემს ცხოვრებაში წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.

ჩვენი ამოცანაა შეუქცევად დაეცით პროცესები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით, 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო. ყოველივე ამასი კი, მასწავლებელთა როლი აბსოლუტურად გადამწყვეტია. ვიცით, რომ მასწავლებლებს ბევრად ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე უნდა ჰქონდეთ; ვიცით, რომ თქვენ, პრაქტიკულად, სასწავლო მოახდინეთ 90-იან წლებში, მაშინ, როდესაც ყველაფერი ჩამოიშალა და უდენობის, უგზობობის, უხელფასობის, უიმედობის პრობლემები შექმნილი შეგნარჩუნებინათ სტანდარტები.

თქვენ ასწავლიდით არა იმიტომ, რომ ამაში ფულს გიხდიდნენ, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეგეძლოთ; იმიტომ, რომ ეს იყო



თქვენი ცხოვრების დანიშნულებაა არსი.

რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრი პრობლემა გვაქვს ქვეყანაში, მაგრამ ამაზე დიდი პრობლემა ქართულ სახელმწიფოს არ აქვს. ჩვენ გვჭირდება, რომ ჩვენი ბავშვები იყვნენ უფრო განათლებულნი, ვიდრე ბავშვები მეზობელ ქვეყნებში, უფრო წარმატებულნი, გონებაგახსნილნი. ამ სასწავლის მოხდენა, ბუნებასთან ერთად, შეგიძლიათ, უპირველეს ყოვლისა, თქვენ.

ამიტომ, შემოვიღეთ დამატებითი სტიმულები, რათა, ერთი მხრივ, სკოლებში სწავლის დონე ავამაღლოთ, ვფიქრობ, ამას გავებით ეკიდებით - ძალიან ბევრი გავიდა სასერტიფიკაციო გამოცდებზე და, მეორე მხრივ, ამ გამოცდის ჩაბარების სტიმული მოგვცით. არა როგორცადრე, როდესაც გამოცდას მუქარის სახე ჰქონდა: თუ არ ჩააბარებ, სკოლიდან გაგიშვებ - ამის განხორციელება ამიტომაც ვერ შეძლეს.

სერტიფიკატი მართლაც სტიმულია, რადგან, თუ გამოცდას ჩააბარებ, მეტი ხელფასი, უფრო დიდი თანამდებობა და მეტი დაფასება გექნება ქვეყანაში. ყველაფერი თანამედროვე შეჯობრებითობის პრინციპს ეფუძნება. ჩვენი მოსწავლეების მესამედი - 180 ათასზე მეტი ბავშვი გავიდა ნელს ოლიმპიადებზე. ოლიმპიადები რამდენიმე წლის წინათ საერთოდ გაუქმებული იყო. ეს არის ძალიან დიდი წინსვლა, აქედან ჩანს, რომ ჩვენი ბავშვები საბაზრო ეკონომიკას მოერგნენ და სურთ ერთმანეთს შეეჯობრონ.

ჩემს ბავშვობაში და, განსაკუთრებით, 90-იან წლებში, ძირითადად, გოგოები სწავლობდნენ კარგად, თუ ბიჭი კარგად სწავლობდა, თეთრი ყვავის როლში იყო. საერთოდ, კარგად სწავლას ვერ ტონად მიიჩნევდნენ. ახლა, თანამედროვე ახალგაზრდობაში კარგად სწავლას დიდი ფასი აქვს. ამას ბევრმა რამემ შეუწყო ხელი. მაგალითად, რაც მანდატურის სამსახური შეიქმნა, დანაშაული სკოლებში 80%-ით შემცირდა.

საქართველოს სკოლებში საშუალო ხელფასი დღეს 380 ლარია, სერტიფიკაციის გავლის შემთხვევაში (ეს პირველი საფეხურია, ყველაზე ადგილი) ემატება 75 ლარი, ხოლო ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სერტიფიკაციის მასწავლებლის ხელფასი კიდევ 125 ლარით იზრდება. მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის პიპოტეტიური რამ - 900 ადამიანი გავიდა ამ გამოცდაზე და როგორც მითხრეს, აბსოლუტურმა უმრავლესობამ პირველივე ცდაზე ჩააბარა. მოთხოვნა მინიმალურია - ინტერნეტი, ლექსიკონის დახმარებით, მოძებნო ნებისმიერი რამ და PowerPoint-ის პროგრამაში

გააკეთო პრეზენტაცია. საბოლოოდ, საქართველოს საშუალო სკოლებში საშუალო ხელფასი 580 ლარს მიაღწევს.

სერტიფიკაციებზე მასწავლებლებს საშუალოდ 25%-ის ხელფასი 1000 ლარი იქნება. ეს ქულებით ითვლება და იმედია, ყველა ერთად დახვდნენ გამოცდების სისტემას, რათა სამართლიანი იყოს.

მენტორი მასწავლებლის ხელფასი 160 ლარია. რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ მეტი იყოს. მაღალმთიანი პროგრამის სახელფასო დანამატი, თუ არ ვცდები, 1000 ლარია.

მაღე გამოვა სახელმძღვანელოები, სადაც, მაგალითად, მათემატიკა, ერთდროულად, იქნება სომხურად და ქართულად, აზერბაიჯანულად და ქართულად, ოსურად და ქართულად, რუსულად და ქართულად. ბილინგვური სწავლების შემთხვევაში მასწავლებელს კიდევ 200 ლარი ემატება. ჯერჯერობით, ასეთი მხოლოდ 60-70 მასწავლებელი გვყავს. რატომ? იმიტომ, რომ კუნძულებად დარჩნენ, აქაც არის მეზობელი სოფლები, სადაც ყველა საგანი ისწავლება სხვა ენაზე და ქართულის მასწავლებლები, მხოლოდ ერთ საგანს - ქართულს ასწავლის. ეს ხდება იმ პრობლემაში, როდესაც, ვთქვით, ჯავახეთში, თქვენს მეზობლად, ამხელა ეკონომიკური აქტივობაა - ჰესების, ავტობანის, რკინიგზის სადგურისა და დიდი რკინიგზის მშენებლობა მიმდინარეობს; უმაღლესი სტანდარტის შესაბამისი გზები აშენდა, შამბრის სათხილამურო კურორტს ვაშლები... ქართული ენის ცოდნა აუცილებელია წარმატებისთვის.

ამას გარდა, ბევრი ინჟინერი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ჰუმანიტარულ დარგებზე მაგისტრატურას, პრაქტიკულად, ძალიან მცირე ნაწილს უფინანსებს. ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველა პროფესიას, მაგრამ ვისაც სურს დავეფინანსოთ მაგისტრატურაში სწავლა ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, ნაწილს ამ რეგიონებში და ასწავლოს ბავშვებს ქართული ენა. იმის გარდა, რომ ეს ახალგაზრდები მიიღებენ 500-ლარიან ხელფასს, მიიღებენ მაგისტრატურის დაფინანსებასაც. კლასიკურ ფილოლოგიაში გინდა მაგისტრის ხარისხის გაკეთება, დაგიფინანსებთ, ოღონდ მანამდე ნადი და ერთი წელი ასწავლე ქართული ენა ეთნიკურ სოფლებს, ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, ეთნიკურ რუსებს. ამ ერთი წლის განმავლობაში, ხელფასის სახით, მიიღებენ 500 ლარს, უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართით და კიდევ ის სტიმულები, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ, რომლებიც 60 ათას ნოუთბუქს დავარჯიშებთ, რომლებიც აწყობილი იქნება საქართველოში. ეს არის პირველი მაღალტექნოლოგიური წარმოება. ჩვენს რეგიონში მსგავსი წარმოება მხოლოდ რუსეთში იყო. ამ კომპიუტერებზე გაჩნდება წარწერა „გამომუშავებულია საქართვე-

ლოში“. დაწყებითი კლასების სამი ათას მასწავლებელს ეს „ბუქები“ უფასოდ გადაეცემა.

თქვენ ნახეთ როგორი სკოლა აშენდა აქ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ სკოლაშია მიძიმე მდგომარეობა. 2013 წელს, საქართველოში, არც ერთი სკოლა არ იქნება ცუდ მდგომარეობაში.

სხვათა შორის, ამას წინათ, თბილისში გავხსენი ფრანგული ლიცეუმი, სადაც სწავლა რამდენიმე ათასი დოლარი ღირს წელიწადში. იქ მხოლოდ ელტური ოჯახების შვილები სწავლობენ. მინდა გითხრათ, რომ ტაძრის სკოლა არაფრით ჩამოუვარდება იმ სკოლას. ეს არის ჩვენი სიამაყე. აქ სწავლა ტაძრისელების სიამაყე. ის სკოლა თბილისის ცენტრშია და მდიდართა შვილები სწავლობენ, აქ კი, მართალია, ხალხს უჭირს, მაგრამ უკეთესი სკოლა აქვთ, სადაც სწავლა უფასოა.

სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ გვექნება უკეთესი სკოლები, ვიდრე არის თბილისის ან ამოსტრადის ცენტრში, ან კოპენჰაგენის რომელიმე რაიონში. ჩვენ მათი მსგავსი ხელფასები ჯერჯერობით არ გვაქვს, მაგრამ როგორც ხედავთ, ზრდის ტენდენცია სახეზეა, თუმცა, აუცილებლად გვექნება ისეთივე სკოლები.

რამდენიმე თვეში ახალი სკოლა გვექნება ნოქალაქებში, ასევე ძალიან კარგ სკოლას ვაშენებთ ახალქალაქში, რომელიც მომავალი წლის დასაწყისიდან შევა ექსპლუატაციაში. გაზვიადების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ეს მართლაც საშვილიშვილო, ისტორიული საქმეა.

ორ კვირაში, კახეთში, ვაზიანში ვხსნით ახალ სკოლას, ასევე სოფელ მელანში. ამას გარდა სკოლები გაიხსნება მუხურაში, ფუთში, ახუთში, გურიამში - ხაჯალიასა და ჩიბათში, სვანეთში - ჯახუნდერში - ეს, პრაქტიკულად მიუსვლედი ადგილია. გარდა იმისა, რომ მაღალმთიან რაიონებში იხსნება სკოლები, მასწავლებლები დამატებით ხელფასს იღებენ.

აი, ეს არის ის, რის გაკეთებასაც ყველა ერთად ვცდილობთ.

ბევრი რამ ინვესტორებს, მაგალითად ის, თუ რატომ მივიჩნევთ უპირატესად ტექნიკური საგნების შესწავლას. შეიძლება ხალხმა თქვას, რომ ისტორიაც გვჭირდება, მშობლიური ენა და ლიტერატურაც, ყველაფერი დანარჩენი... მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემაში ადამიანები თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს უნდა დამორგოს. ჩვენ არ გვჭირდება უმუშევარი სპეციალისტები. გვჭირდება ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებიც სამსახურს იშოვნენ თანამედროვე მსოფლიოში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (2008 წელს იყო მხოლოდ რამდენიმე თვიანი ჩავარდნა) უფრო მეტი ადამიანი ბრუნდება საქართველოში, ვიდრე აქედან მიდის. ეს არ ნიშნავს, რომ აღარ მიდიან - მიდიან, მაგრამ უფრო მეტი ბრუნდე-

ბა. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდებმა შეწყვიტეს წასვლა, რადგან მან-სები და იმედები გაჩნდა. ისინი რომ საკუთარ ქვეყანაში დამაგრდნენ, უფრო მეტი სამუშაო ადგილი გვეჭირდება, სამუშაო ადგილებზე კი - კვალიფიციური კადრები.

უკვე დაწყებულია რამდენიმე დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, უახლოეს თვეებში 10-15 ჰესის მშენებლობას ვინწყობთ. ოცდაათი ათასი სპეციალისტი გვეჭირდება, ვინც ჰიდროენერგეტიკაში იმუშავებს. საიდან უნდა მოვიყვანოთ დღეს ეს ხალხი? უნდა მოვიდეს ის, ვინც იცის ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია - ტექნიკური დარგები, ვისაც დამთავრებული აქვს ტექნიკური სასწავლებლები. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხალხმა გაიკვალოს გზა ცხოვრებაში.

კიდევ ერთი რამ, რაც აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. რა არის ჩვენი, საქართველოს, უპირატესობა ყველა სხვა ქვეყნებთან შედარებით? რატომ არის განათლება ასე მნიშვნელოვანი? მე ხშირად მომაქვს სინგაპურის მაგალითი არა იმიტომ, რომ სინგაპურის პოლიტიკური სისტემა მომწონს - ჩვენ არ მოგვერგება ეს სისტემა, ჩვენ ჩვენი ტრადიციები გვაქვს. ჩვენ არასდროს არ გვექონია უფროსის ასეთი კულტი, თუ არ ჩავთვლით დაპყრობის პერიოდებს. ჩვენი ხალხი ვერ იტანს ბატონობას, რადგან სულით თავისუფალია და ვერც განსაკუთრებით მოითმენს, როგორც ეს სინგაპურში ხდება, მაგალითად, სალექტორების დაღვთების ან არასწორ ადგილზე გადაადგილებისთვის. ჩვენი ხალხი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში. სინგაპური მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ძალიან მტრულ გარემოებაში იმყოფებოდა, მაგრამ მოახერხა ახალი სახელმწიფოებრივი ერთობის შექმნა. იქ არ აქვს მნიშვნელობა ჩინელი ხარ, მალიზიელი, ინდოელი, ინდუსი - იქ ყველა სინგაპურელია.


ასეთივეა საქართველო. დაპყრობის პრობლემა სულ სხვა რამ არის, მაგრამ საქართველოს არ ექნება სეპარატისმის პრობლემა, როდესაც წინ წავალთ და როცა განათლების სისტემა შექმნის მყარ საფუძველს არა მხოლოდ იდეოლოგიის თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური წარმატებისთვის.

და მეორე, რას ეფუძნებოდა საქართველოს გავლენა საუკუნეების განმავლობაში? ეფუძნებოდა განმანათლებლო და კულტურულ უპირატესობას. საქართველოს ძალაუფლების გავრცობა, ძირითადად, იარაღის ძალით კი არ ხდებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ომები გამოვილი გვაქვს, ძირითადად, თავდაცვითი ომები. რატომ არის, რომ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე არის ქართული კულტურა და ქართული ძეგლები? უპირველესად იმიტომ, რომ აქ იყო განათლების და ცივილიზაციის უფრო მაღალი დონე. რატომ აქვს საქართველო ამხელა გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე? იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის ვიყავით ორგანიზებული და საუკუნეების განმავლობაში გვექონდა ცივილიზებული ცხოვრების წესი.

მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გითხრათ ყველაფრისთვის, რაც ბოლო წლების განმავლობაში გააკეთეთ. მინდა იცოდეთ, რომ თუკი რომელიმე ერთ პროფესიას ან რომელიმე ერთ ცალკე ადგილს მოღვაწეს საქართველოში ძველი უნდა დაუდგას, ეს არ იქნება არც პრეზიდენტის, არც რომელიმე მინისტრის ან თუნდაც სხვა ძალიან ღირსეული პროფესიის წარმომადგენლის ძეგლი. ეს უნდა იყოს პედაგოგის ძეგლი, რადგან თქვენ მოგიყვანეთ აქამდე და მომავალშიც გავაგრძელებთ თქვენი მოკრძალებული, მაგრამ დიდად დასაფასებელი შრომით.

საუბრაბი ბიბლიაზე

ვინაში და რტონი ვინაშისანი



როლანდ რეხიძე

წმინდა კირილე ალექსანდრიელი ბრძანებს: მაცხოვარს სურს გვიჩვენოს, რომ ადამიანში ღმერთისადმი სიყვარულის აღმოცენებისათვის მრავალგზის ძალვა და მეცადინეობაა საჭირო, რათა მასთან ერთობაში ვეზიარებით და მხოლოდ მასთან ერთად ყოფნით არის შესაძლებელი „ამ ქვეყნად გულისტყმის ხრწნილებისაგან განრიდებულინი საღმრთო ბუნების თანაზიარნი გახდეთ“ (2 პეტ. 1:4) და მხოლოდ მისგან შეიძლება ებოდოს ადამიანს „დიადი და ფასდაუდებელი ალექსანდრიელი“ (2 პეტ. 1:4). უფალი ბრძანებს: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა“ (იოან. 15:1). მართლაც, კაცობრიობამ არ იცის სხვა ვაზი, რომელიც თავის ნაყოფს უშუალოდ ღმერთისათვის აღივებს და ეს ნაყოფი ღმერთამდე აჰყავს. იესო ქრისტე ძეა ღვთისა და ის, თავის ქცევამში, მამის ნებისადმი სრულ მორჩილებას გამოხატავს.

ბიბლიური თვალსაზრისით იესო ქრისტე ვაზია ჭეშმარიტი, რომელსაც თავისი მადლით და ცხოვრებით ღვთის შესაფერისი ნაყოფი მოაქვს. მორწმუნესათვის მთავარი, სულიერი საზრდოა, რადგან ის საზრდო ზრდის ადამიანს, რასაც მისი გული ითხოვს. უფალი თავის მონაფეებს ახლებურად უხსნის ჭამადის შინაარსს: „ჩემი საქმელი ის არის, რომ ვყო ჩემი მომავლისათვის ნება და აღვასრულო მისი საქმე“ (იოან. 4:34). იოანეს სახარების მეთხუთავში უფალი თავის მონაფეებს სოფლიდან გამოსულ ხალხზე მიუთითებს და ბრძანებს: „აჰა, მე გეუბნებით: ალაპყრეთ თვალნი და იხილეთ ყანები, როგორ გადათეთრებულან სამკალად. მომკელი

საზღაურს იღებს და საუკუნო სიცოცხლისთვის ინვესტორს მოსავალს, რათა ერთად ხარობდნენ მთევლიცა და მომკელიც“ (იოან. 4:35-36). იოანე ოქროპირი ამ ქარაგმას ჩვეულებრივი საგნების ხატოვან ასახვად მოიხსენიებს. ამ ებიზოდის მიხედვით ლოცვა და მარხვა ქრისტიანის უმთავრეს საქმეს, საკუთარი თავისა და სხვათა ცოდვილობისაგან გამოხსნას ემსახურება. ამ აზრს მათეს სახარებაც ადასტურებს. იესო ქრისტე ბრძანებს: „ეს მოდგმა მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება“ (მათ. 17:21).

იესო ქრისტე ჭეშმარიტი ნაყოფის მომტანი ვაზია. ვინაიდან ვაზის დანიშნულება სავსე მტევნების გამოღებაა, უდიდესი მნიშვნელობა ღვთისთვის და იმას ენიჭება, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ვაზმა საბოლოოდ კარგი ნაყოფი მოიტანოს. ღვთისთვის არსებობს ვაზზე დამოკიდებული და რადგან ვაზის სახეში იესო ქრისტეა ნაყოფისხმევი, მონაფეებს, რომლებსაც ნაყოფი მოაქვთ, რჩებიან ვაზის ნაწილად, ე. ი. მის მონაფეებად. სხვების შესახებ იესო ქრისტე ბრძანებს: „ვინც არ დარჩება ჩემში, ღვთისაგან განრიდება და განმეება; შემდეგ კი აგროვებენ, ცეცხლში ყრიან და იწვის“ (იოან. 15:6).

ყველა მორწმუნე ღმერთთან ერთიანია იესო ქრისტეში. ბასილი დიდი ბრძანებს: რადგან ადამიანი ღმერთი არაა, მაცხოვარმა კვლავ დაბადებულად მის განკაცებულებაში მოგვიხსენია... ამიტომ კაცი ძე ღვთისას ერთარსად არ უნდა მოვიზნოთ. იესო ქრისტე ღმერთია და ის ღვთის ერთობისა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაცხოვარი არ არის კაცთა მოდგმის ისეთივე დასაბამი, როგორც მამა ღმერთია ძე ღმერთის მამა.

იესო ქრისტე ადამიანის შემომქმედია და მამა ღმერთს ნებას, ჩვენ გვწამდეს ძისა. ის ერთადერთი პიროვნებაა, რომლის წყალობითაც მთელი კაცობრიობის ცხოვრება ჭეშმარიტ შინაარსს იძენს. მისი ძალაუფლება სამების ძალით არის განმტკიცებული და ეს მრავალჯერ დასტურდება სახარებაში.

ნამდვილ მკად მაცხოვარმა ის

შემთხვევა მოიხსენია, როდესაც ფილიპემ და ანდრია პირველნოდებულმა მაცხოვართან ელინები მიიყვანეს (იოან. 12:20-30). ამ შემთხვევას უფალმა ესქატოლოგიური მნიშვნელობა მიანიჭა, კაცობრიობის გადარჩენისათვის დაწყებული მკის დასაწყისი უწოდა და ბრძანა: „მოაწი კაცის ძის განდიდების ჟამმა. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი მინაზე დავარდნილი პურის მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება, ხოლო თუ მოკვდა, უამრავ ნაყოფს გამოიღებს“ (იოან. 12:20-31).

ჭეშმარიტ ვენახს ცრუ მონაფეები ვერ დაიკვიდრებენ. უნაყოფო ღვთისთვის ჩამოცილებით ვაზი განიწმინდება, ასეთი განწმენდა სუსტ და ახლადამოყრილ ღვთის სიკეთეს მოუტანს. იუდა ისკარიოტელისაგან განთავისუფლებამ მოციქულების ჩამოცილებით ვაზი მოუტანა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი - აუცილებელი იყო იესო ქრისტესაგან განუყოფელი ცხოვრებისათვის ზრუნვა.

„თუ დარჩებით ჩემში და ჩემი სიტყვები დარჩება თქვენში, - ბრძანებს უფალი, - ყველაფერი, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ. ამით იდიდება მამაჩემი, თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს და იქნებით ჩემი მონაფენი“ (იოან. 15:7-8). უფლის სურვილია მონაფეებთან მუდმივი კავშირი ჰქონდეს, რადგან სიყვარულში ერთიანობა და მცნებების აღსრულება ადამიანს უფალთან აერთიანებს, ხოლო ამ ერთიანობით აღსრულებული საქმეები ღმერთის დიდებას ემსახურება.

სახარებაში მამისა და ძის უანგარო სიყვარულს ვხედავთ. ასეთივე სიყვარული აქვს ძეს მონაფეების მიმართ: „როგორც შემიყვარა მე მამამ, მეც ასევე შემიყვარეთ თქვენ; დარჩით ჩემს სიყვარულში“ (იოან. 15:9), - ბრძანებს უფალი. ძე მამისადმი სრულ მორჩილებას იჩენს და ეს ღვთის მორჩილების მაგალითია: „თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, დარჩებით ჩემს სიყვარულში, როგორც მე დავიცავი მამაჩემის მცნებანი და ვრჩები მის სიყვარულში“ (იოან. 15:10). ძის სიხარული ჭეშმარიტი მონაფეების დიდი

სიხარულია: „ეს გითხარით, - ბრძანებს უფალი, - რათა ჩემი სიხარული თქვენში დარჩეს და სრულ იყოს თქვენი სიხარული“ (იოან. 15:11).

ღვთაებრივი სიყვარული ორმხრივი და უანგაროა: „ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ. არავის არა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრისთვის“ (იოან. 15:12-13). ამრიგად, - ბრძანებს უფალი, - ისევე როგორც მე ვწინავე თქვენთვის თავს, თქვენც - ერთმანეთისათვის თავს შეგეძლოთ ერთმანეთისათვის თავის განთავისუფლება. არ იფიქროთ, რომ მე თქვენ იმის გამო გტოვებთ, რომ არ მსურს თქვენთან ერთად ყოფნა, პირიქით, დროებით თქვენი დატოვება თქვენი სიყვარულის გამო ხდება, და თქვენ დარწმუნდებით, რომ სწორედ ეს გადამწყვეტილებაა სრულფასოვანი სიყვარულის ნიშანი.

როდესაც უფალი ბრძანებს: „გაუწყეთ ყველაფერი, რაც მსმენია მამაჩემისგან“, არ ნიშნავს, რომ უფალი რაიმეს შესწავლას საჭიროებდა ან საჭიროებს, - ამით ის გვამცნობს, რომ მხოლოდ იმ ცოდნას ცვაუწყებს, რაც მამის ნიალიდან მოდის. უფალი ბრძანებს: საიდუმლოს გადმოცემა პირველი ნიშანია თქვენდამი დიდი სიყვარულისა, ხოლო მეორე უტყუარი ნიშანი ის არის, რომ თქვენ კი არ ავირჩევინეთ, რათა ნახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და დარჩეს თქვენი ნაყოფი; რათა მამამ მოგცეთ ის, რასაც ჩემი სახელით სთხოვთ“ (იოან. 15:16).

სწორედ იმისათვის, რომ ის, რაც მაცხოვარმა გადმოგვცა, უფრო უკეთ აღვიქვათ და მივიღოთ, ჭეშმარიტების აღქმის პროცესი, ღვთის მადლით, მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება!

მონაფეებმა თავად იხილეს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ჯვარცმა და აღდგომა. ამ საოცარმა მოვლენებმა მათი გულები უფრო დიდი სიყვარულით აღვსო და მათმა სულებმა ჭეშმარიტების უფრო დიდი სიღრმეები დაიჭირა.



მაცხოვარი, აღდგომისა და ცხოვრების ხატად გვევლინება. მის გარშემო მიმდინარე მოვლენებში, როგორც დრომოჭმულ სინამდვილეს, ისე მომავლის ესქატოლოგიას ვხედავთ. მეორე მხრივ, სახარებაში, პარალელურად, პიროვნულ და ზოგადსაკაცობრიო აღდგომასთან დაკავშირებული მოვლენები ვითარდება: „ჩემი მომავლინების ნება ისაა, - ბრძანებს უფალი, - რომ ყველას, ვინც ხედავს ძეს და სწამს იგი, საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს“ (იოან. 6:40), „ვინც ჭამს ჩემს ხორცს და სვამს ჩემს სისხლს, ექნება საუკუნო სიცოცხლე“ (იოან. 6:54), „გერავინ მოვა ჩემთან, - განაგრძობს იგი, - თუკი მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, არ მოიყვანა, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“ (იოან. 6:44). რადგან, განმარტავს იესო ქრისტე: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე ვისაც მე ვწამვარ, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს. ვინც ჩემში ცოცხლობს და სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე“ (იოან. 11:25-26). ეს სიტყვები ხაზს უსვამს მამისა და ძის ერთობლივ ნებას - კაცობრიობა, სიკვდილის ტყვეობიდან იქნეს გამოხსნილი.

წმინდა წერილი გვამცნობს, რომ ყველა, ერი იქნება თუ ადამიანი, ვინც საკუთარ კეთილდღეობას ხელის ხელით მოიხდის, ნარკოტიკითა და სიკვდილის სენითაა შეპყრობილი. იესო ქრისტემ თავის მიმდევრებს ჯვარი შესთავაზა. მან განაცხადა, რომ ადამიანში კერპთაყვანისმცემლური ბუნება მხოლოდ ნარკოტიკის სიკვდილით შეიძლება დაიძლიოს: „ვინც არ დაიბადება ხელახლა, ვერ იხილავს ღმერთის სასუფეველს“ (იოან. 3:3); ხოლო სასუფევლისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ ჭეშმარიტების მსახურებაშია.

და კიდევ ერთი. უფალი ბრძანებს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი მინაზე დავარდნილი პურის მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება, ხოლო თუ მოკვდა, უამრავ ნაყოფს გამოიღებს“ (იოან. 12:24).

თქალსაზრისი

ალტერნატიული საბნების 2-1 4/5/6/7/8/9/10 ფოკუსური ნუსხები 3

2000 წელს დაწყებული განათლების რეფორმა რეალურად 2004 წელს დაიწყო. იმ დროისათვის მინისტრმა ალექსანდრე ლომიაამ მიიღო ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილება - ყველა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვის შესახებ. ეს იყო წინგადადგმული, მაგრამ არასაკმარისი ნაბიჯი, რადგანაც მხოლოდ საგანსახეურით შეიძლება ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა.

საგამოცდო საგნად „ზოგადი უნარების“ შემოღებამ გარკვეულ პერიოდში გარკვეული მისია იტვირთა, მაგრამ ის კი მეტისმეტი იყო, რომ გრანტის მიღებას ზოგად უნარებში მიღებული ქულები განაპირობებდა. ამ ფაქტმა, გარკვეულწილად, შეუწყო ხელი მოსწავლეების სკოლიდან გაქცევას. სწორედ დროული იყო მინისტრ დიმიტრი შაშკინის ბრძანება, რომელმაც ერთი გაადიდა მისაღები გამოცდების რიცხვი და გააუქმა ზოგადი უნარების მიხედვით გრანტის მიღების აბსურდული წესი. ოთხი სა-

ვალდებულო საგამოცდო საგნის გამოცხადებამ ვერაფერი შეცვალა, რადგანაც ე.წ. ალტერნატიული საგნების მთელი სერიალი გამოაცხადა ყველა უმაღლეს სასწავლებელში. მაგალითად: ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 23 დასახელების სპეციალობაზე აცხადებს 4/5/6/7/8/9/10 ნუსხა-ფოკუსს. ამ და მრავალი სხვა უმაღლესი სასწავლებლის „ნუსხა-ფოკუსის“ წყალობით აბიტურიენტს შეუძლია გახდეს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის, ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტი. ფოკუსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ IV საგნად აბიტურიენტთა უდიდესი ნაწილი, შესაბამისად, აბარებს ქართულ ლიტერატურას ან მათემატიკას. ამდენად, ქართული ორ საგნად და უცხო ენა ან ქართული, უცხო ენა და მათემატიკა ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის კარებს უღებს ჩვენს აბიტურიენტებს. მესმის უმაღლესი სკოლების,

რომლებიც მაღალი კონკურენციის პირობებში ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი კონტინგენტი მიიღონ, რათა დაკულტეტი არ დაიხუროს. მათი ნება-სურვილი რომ იყოს, უგამოცდო მიღებას გამოაცხადებდნენ. სამწუხაროდ, საქართველოს მისაღები გამოცდების არასწორი ნუსხის რამდენიმე ათწლეული გამოცდილება აქვს, რამაც შედეგად ჩავარდნილი საბუნებისმეტყველო სასკოლო დისციპლინები მოგვცა. დიდი ხანია, დადგა დრო და აუცილებლობა მდგომარეობის გამოსწორებისა - გამოცდა უნდა ბარდებოდეს სპეციალობების მიხედვით, შესაბამისად, მაპროფილებელი საგანი პირველ საგნად, ყოველგვარი ალტერნატივების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ხანია გვყავდა, გვყავს და მომავალშიც გვეყოლება სამი კატეგორიის მოსწავლეები: მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში აღარ დადიან; მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში იძულებით დადიან; მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში მხოლოდ გასართობად დადიან. ქართველი ავტორების სასახე-

ლოდ უნდა ითქვას, რომ დღეს ყველა საგანში გვაქვს საუკეთესო სასკოლო სახელმძღვანელოები, იმდენად კარგი, რომ მასწავლებლებს არჩევანის გაკეთება უჭირთ.

სახელმძღვანელოში შეტანილია ყველა ის საკითხი, რაც ზოგად უნარებშია, ამიტომ ცალკე გამოცდა ზოგად უნარებში, ეს არის გამოცდა მხოლოდ გამოცდისათვის. მეორე - დღეს, როდესაც სკოლებში ტარდება საატესტატო გამოცდები, მოსწავლე ვალდებულია, ისწავლოს ყველა საგანი უარკვეული კომპეტენციის დონეზე; ამის შემდეგ ზოგად უნარებში გამოცდამ, როგორც იტყვიან, მოჭამა ჭირი. ის მხოლოდ უარყოფითი გავლენას ახდენს სკოლაში სწავლებაზე - ერთით ადიდებს მისაღები გამოცდების რიცხვს და აქედან გამომდინარე, მოსწავლე ერთი საგნით ნაკლებს სწავლობს მისაღები გამოცდების დონეზე.

მისაღები გამოცდები უნდა იყოს, არანაკლებ, ოთხ საგანში, ზოგადი უნარების გარეშე. ფიზიკის ფაკულტეტზე უნდა

ბარდებოდეს საგნები შემდეგი თანმიმდევრობით: ფიზიკა, მათემატიკა, ასტრონომია, ქართული და უცხო ენა; სამშენებლო არქიტექტურის ფაკულტეტზე - ხაზვა, ფიზიკა, მათემატიკა, ქართული, უცხო ენა; სამედიცინო ფაკულტეტზე - ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, ქართული, უცხო ენა და ა.შ. თანაც უნდა ბარდებოდეს ყველა საგანი, სპეციალობებზე პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში: პირველი - სკოლებში საგნების სწავლება ვერ მიადნეწვს სათანადო ნიშნულს და მეორე - არ გვეყოლება მაღალი დონის სპეციალისტები. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა, განათლების სამინისტროს მხრიდან, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი ერთნაირ პირობებში იქნეს ჩაყენებული.

დემურ კუხალიაშვილი ჩხორის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, შუგდიდი

გამოსაშვები გამოცდაები

კომპიუტერული ადაპტიური ტესტირება 2011 წლის გამოსაშვები გამოცდებისათვის

2011 წლის გამოსაშვები გამოცდები ჩატარდება კომპიუტერული ადაპტიური ტესტირების მეთოდით (CAT, Computerized Adaptive Testing). ეს მეთოდი მდგომარეობს ისეთი დავალებების შერჩევაში, რომლებიც უკეთ მიესადაგება მოცემულ საგანში ყოველი კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს და რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას გვაძლევს ამ საგანში მისი ცოდნისა და უნარის შესახებ.

გამოცდის დროს, ყოველ მორიგ დავალებაზე გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით, ზუსტდება მოსწავლის უნარის მიმდინარე შეფასება. მომდევნო დავალება შეირჩევა ამ შეფასების მიხედვით ისე, რომ ამ დავალებაზე როგორც სწორი, ისე არასწორი პასუხის გაცემის შედეგად მიღებული ახალი შეფასება წინა შეფასებას მაქსიმალურად აზუსტებდეს ყველა სხვა დავალებთან შედარებით და ა. შ.

დავალებებზე გაცემული პასუხების მიხედვით, ყოველ კონკრეტულ საგანში, მოსწავლეთა უნარის ამ მეთოდით შეფასება მოითხოვს შემთხვევითი ფაქტორების გათვალისწინებას, კერძოდ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც მაღალი უნარის მქონე მოსწავლის მიერ მარტივი დავალების ამოხსნისას შეცდომის დაშვების ალბათობა, ისე დაბალი უნარის მქონე მოსწავლის მიერ სწორი პასუხის შემთხვევით გამოცნობის შესაძლებლობაც.

ასეთ პირობებში, მოსწავლეთა უნარის შესაფასებლად აუცილებელია შესატყვისი, ალბათური მოდელის გამოყენება. ეს გულისხმობს მოცემულ საგანში თითოეული დავალების რიცხვითი პარამეტრების დადგენას, რომლებიც ამ მოდელის მიხედვით განსაზღვრავს მოცემული უნარის მქონე მოსწავლის მიერ ამ დავალების სწორად ამოხსნის ალბათობას.

გამოსაშვები გამოცდებისათვის ალბათური მოდელის არჩევა განხორციელდა თანამედროვე თეორიის საფუძველზე, რომელსაც ეწოდება ტესტურ დავალებათა თეორია (Item Response Theory, შემოკლებით - IRT). ტესტის კლასიკური თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც შეისწავლის შეფასებებს მთელი ტესტის დავალებათა ერთობლიობის საფუძველზე, ტესტურ დავალებათა თეორიაში თითოეული დავალება აღინერგება თავისი მახასიათებელი ფუნქციით (მახასიათებელი წირით) და აქცენტი კეთდება ყოველი დავალებისათვის მახასიათებელი პარამეტრების დადგენაზე. დავალების მახასიათებელი ფუნქცია გამოხატავს კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც უფრო მაღალ უნარს შეესაბამება ამ დავალების სწორად ამოხსნის უფრო მაღალი ალბათობა. ალბათური მოდელი, რომელიც გამოიყენება ტესტურ დავალებათა თეორიაში, ერთმანეთისაგან ამ მახასიათებელი ფუნქციების კონკრეტული მათემატიკური სახით განსხვავდება. მოდელის შერჩევა ხდება საცდელი ტესტირების შედეგების საფუძველზე, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რამდენადაა შეთანხმებული არსებული დავალებების ამოხსნის შედეგები ამოხსნის ამა თუ იმ მოდელის მიხედვით გამოთვლილ ალბათობებთან.

IRT მოდელის შერჩევის შემდეგ, მის საფუძველზე, იქმნება დავალებათა ბანკი, რომელშიც თითოეულ დავალებას ენიჭება მახასიათებელი შერჩეული ალბათური მოდელის მიხედვით, საცდელი ტესტირების შედეგების კალიბრაციის მეშვეობით. გარდა ამისა, IRT მოდელის საფუძველზე ტესტირების ჩასატარებლად უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი ორი პირობა:

(1) თითოეულ საგანში გამოსაცდელად შედგენილ დავალებათა ბანკს უნდა ჰქონდეს ერთგანზომილებიანობის თვისება, რაც ნიშნავს, რომ ის უნარი, რომელიც საჭიროა ამ ბანკში შემავალი დავალებების ამოსახსნელად, საკმარისია დახასიათდეს მხოლოდ ერთი რიცხვითი პარამეტრის მეშვეობით. მოსწავლის პასუხზე მოქმედი სხვა შესაძლო ფაქტორების გავლენა (მაგალითად, ისეთი ცოდნისა და უნარის, რომლებიც უშუალოდ არ არის ამ საგანთან დაკავშირებული) უმნიშვნელო უნდა იყოს ამ ერთი განმსაზღვრელი პარამეტრის გავლენასთან შედარებით.

(2) დავალებათა ბანკს უნდა ჰქონდეს ლოკალური დამოუკიდებლობის თვისება, რაც ნიშნავს, რომ ყოველი ფიქსირებული უნარის მქონე მოსწავლეთათვის ამ ბანკიდან აღებული დავალებებზე სწორად და არასწორად გაცემული პასუხების ნებისმიერი კომბინაციის ალბათობა ცალკეული პასუხების ალბათობების ნამრავლის ტოლი უნდა იყოს. მაგალითად, დავალებათა ბანკი არ უნდა შეიცავდეს ისეთ დავალებებს, რომელთა შინაარსი გავლენას მოახდენს სხვა დავალებების შესრულებაზე. ამგვარი დავალებებისათვის შეიძლება დაირღვეს ლოკალური დამოუკიდებლობის პირობა, რაც შეფასების პროცესზე უარყოფითად აისახება.

სხვადასხვა IRT მოდელთან საცდელი ტესტირების შედეგების შედარების საფუძველზე, შეირჩა ე.წ. სამპარამეტრიანი ლოგისტიკური მოდელი 3PL. ამ მოდელში თითოეული დავალების მახასიათებელი ფუნქცია განისაზღვრება სამი ძირითადი პარამეტრით: დისკრიმინაციით (a), სირთულით (b) და შემთხვევით გამოცნობის ალბათობით (c) და აქვს სახე:


$$P_{a,b,c}(\theta) = 1 - \frac{1-c}{1+e^{a(\theta-b)}}$$

სადაც a არის დავალების დისკრიმინაცია, b - სირთულე, c - შემთხვევით გამოცნობის ალბათობა, θ - უნარი, ხოლო $P_{a,b,c}(\theta)$ არის θ უნარის მქონე მოსწავლის მიერ ამ დავალების სწორად ამოხსნის ალბათობა სამპარამეტრიანი ლოგისტიკური მოდელის მიხედვით.

საგანში თითოეული მოსწავლის უნარი θ იზომება იმავე პირობით ერთეულებში, რომლებშიც მისთვის ამ საგანში მიცემული დავალებების b სირთულები. მაგალითად, თუ მოსწავლეს ეძლევა ერთი და იგივე ფიქსირებული სირთულის დავალებები და მოსწავლე ამ დავალებათა უდიდეს ნაწილს სწორად ხსნის, ეს ნიშნავს, რომ მისი უნარი ამ ფიქსირებულ სირთულეს საგრძობლად აღემატება. პირიქით, თუკი მოსწავლე ამ დავალებათა უდიდეს ნაწილს ვერ ხსნის, ეს ნიშნავს, რომ მისი უნარი ამ ფიქსირებულ სირთულეს შეესაბამება.


ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი გვიჩვენებს მოცემულ საგანში ერთ-ერთი დავალებისათვის სხვადასხვა უნარის მქონე მოსწავლეების მიერ ამ დავალების სწორად ამოხსნის ალბათობებს.

გრაფიკზე ამ საგანში შესაბამისი უნარი θ მოცემულია პირობით ერთეულებში 5-დან 10-მდე. დავალების სირთულე ამავე ერთეულებში არის b=8, რაც ნიშნავს, რომ თუ ამ დავალებას მივცემთ ამავე $\theta=8$ უნარის მქონე მოსწავლეებს, დავალებას სწორად დაახლოებით მათი ნახევარი ამოხსნის. თუ ამავე დავალებას მივცემთ უფრო მაღალი $\theta=9$ უნარის მქონე მოსწავლეებს, გრაფიკის მიხედვით, შესაბამისი ალბათობა იქნება დაახლოებით 0.9, რაც ნიშნავს, რომ ასეთი უნარის მქონე 100 მოსწავლიდან ამ დავალებას სწორად ამოხსნის დაახლოებით 90. ხოლო თუ დავალებას მივცემთ უფრო დაბალი $\theta=7$ უნარის მქონე მოსწავლეებს, მათთვის შესაბამისი ალბათობა დაახლოებით 0.1 იქნება. ე.ი. ასეთი უნარის მქონე 100 მოსწავლიდან დავალებას სწორად ამოხსნის დაახლოებით 10.



როგორც უკვე ითქვა, სამპარამეტრიანი ლოგისტიკური მოდელის მიხედვით, გარდა სირთულისა, მოსწავლის მიერ დავალების ამოხსნის ალბათობა განისაზღვრება კიდევ ორი პარამეტრით - დისკრიმინაციით და შემთხვევით გამოცნობის ალბათობით.

დავალების დისკრიმინაცია a მით უფრო მაღალია, რაც უფრო მკვეთრად ასხვავებს ეს დავალება მისი სირთულის შესაბამის უნარზე მაღალი უნარის მქონე მოსწავლეებს ამავე უნარზე უფრო დაბალი უნარის მქონე მოსწავლეებისაგან. ვთქვათ, მოცემულია ორი დავალება M და N, რომელთა სირთულე b ერთი და იგივეა, ასე რომ, $\theta=b$ უნარის მქონე მოსწავლეები ორივე ამ დავალებას დაახლოებით ნახევარ შემთხვევებში ამოხსნიან სწორად. თუ ამ დავალებებს მივცემთ უფრო მაღალი $\theta > b$ უნარის მქონე მოსწავლეებს, ისინი ამ დავალებებს სწორად უფრო ხშირ შემთხვევებში ამოხსნიან. მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ ეს ახალი სისხირები M და N დავალებებისათვის ერთნაირი აღმოჩნდეს. თუკი M დავალებას θ' უნარის მქონე მოსწავლეების უფრო დიდი ნაწილი ამოხსნის სწორად, ვიდრე N დავალებას, ეს ნიშნავს, რომ M დავალებას დისკრიმინაცია უფრო მაღალი აქვს, ვიდრე N დავალებას. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში მაღალი დისკრიმინაციის მქონე M დავალებას b სირთულებზე უფრო დაბალი $\theta < b$ უნარის მქონე მოსწავლეების უფრო ნაკლები ნაწილი გააკეთებს სწორად, ვიდრე დაბალი დისკრიმინაციის მქონე N დავალებას. ასეთ შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ M დავალება უკეთ ასხვავებს ერთმანეთისაგან b-ზე მაღალი და b-ზე დაბალი უნარის მქონე მოსწავლეებს, ვიდრე N დავალება. შესაბამისი გრაფიკი ასე გამოიყურება:




დავალების შესაბამისი პარამეტრი c (შემთხვევით გამოცნობის ალბათობა) გასათვალისწინებელია, მაგალითად, ისეთი დავალებებისათვის, რომლებშიც მოსწავლემ რამდენიმე შესაძლო პასუხიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. ასეთი დავალებებისათვის, მოსწავლის ძალიან დაბალი უნარის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ შემთხვევით არჩეული პასუხი სწორი პასუხს დაემთხვეს. შესაბამისად, თუკი დავალების შემთხვევით გამოცნობის ალბათობა არის c>0, მაშინ θ უნარისათვის, რომელიც ემთხვევა დავალების b სირთულეს, დავალების სწორად ამოხსნის ალბათობა იქნება არა 1/2, არამედ $\frac{1+c}{2}$. გარდა ამისა, თუ ასარჩევი პასუხების რაოდენობა არის, ვთქვათ, 4, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შემთხვევით გამოცნობის ალბათობა 1/4-ის ტოლია. მაგალითად, თუკი არასწორი პასუხებიდან რომელიმე, ერთი შეხედვით, უფრო სავარაუდოა, მისი არჩევის ალბათობა, დაბალი უნარის არსებობის შემთხვევაში, შედარებით მაღალია, რაც შესაბამისად სწორი პასუხის გამოცნობის ალბათობას შეამცირებს.

სამივე ამ პარამეტრის გათვალისწინებით, დავალების სწორად ამოხსნის ალბათობის უნარზე დამოკიდებულების გრაფიკს ე.ი. ამ დავალების მახასიათებელი ფუნქციის

$$P_{a,b,c}(\theta) = 1 - \frac{1-c}{1+e^{a(\theta-b)}}$$

გამოსვლის გამოსვლი

გრაფიკს სამპარამეტრიან ლოჯისტიკურ მოდელში ასეთი სახე აქვს:



ამრიგად, დავალბების მახასიათებელი ფუნქციის გრაფიკზე სირთულე შეესაბამება იმ წერტილის აბსცისას, რომლის მიმართაც წირი სიმეტრიულია, დისკრიმინაცია განსაზღვრავს ამ წირის დახრას, ხოლო შემთხვევითი გამოცდის ალბათობა არის მარცხენა ასიმპტოტის ორდინატა.

დავალბებთან პარამეტრების ცოდნა საშუალებას იძლევა, შევავსოთ იმის ალბათობა, რომ θ უნარის მქონე მოსწავლე ზოგ მათგანს სწორად ამოხსნის, დანარჩენებს კი არასწორად - იმ შემთხვევაში, თუკი შესრულდება ზემოთ ნახსენები ლოკალური დამოუკიდებლობის პირობა. 3PL მოდელის მიხედვით შეგვიძლია გამოვთვალოთ სწორი და არასწორი პასუხების ნებისმიერი კომბინაციის ალბათობა, როგორც უნარის ფუნქცია, ლოკალურად დამოუკიდებელი დავალბების ნებისმიერი რაოდენობისათვის. ამ ფუნქციის ერთიანი ფორმული ჩასანერად გამოიყენება შემდეგი აღნიშვნები: a_i, b_i, c_i პარამეტრებიან დავალბებზე გაცემული პასუხი აღვნიშნოთ x_i -თი, სადაც $x_i = 1$, თუ პასუხი სწორია და $x_i = 0$, თუკი პასუხი არასწორია. მაშინ, იმის ალბათობა, რომ θ უნარის მქონე მოსწავლე M_1, \dots, M_n დავალბებზე შესაბამისი პარამეტრებით $a_1, b_1, c_1, \dots, a_n, b_n, c_n$ გასცემს პასუხებს x_1, \dots, x_n , ტოლი იქნება ნამრავლის

$$L_{a,b,c}(x, \theta) = P_{a_1, b_1, c_1}(\theta)^{x_1} (1 - P_{a_1, b_1, c_1}(\theta))^{1-x_1} \dots P_{a_n, b_n, c_n}(\theta)^{x_n} (1 - P_{a_n, b_n, c_n}(\theta))^{1-x_n}$$


სადაც $a = (a_1, \dots, a_n)$, $b = (b_1, \dots, b_n)$, $c = (c_1, \dots, c_n)$, $x = (x_1, \dots, x_n)$.

θ -ს მიღებულ $L_{a,b,c}(x, \theta)$ ფუნქციას დასაჯერობის ფუნქცია ეწოდება. θ -ს ისეთი $\hat{\theta}$ მნიშვნელობა, რომელზეც ეს ფუნქცია მაქსიმუმს აღწევს, შეესაბამება უნარს, რომლისთვისაც ამ დავალბებზე ასეთი პასუხების გაცემა ყველაზე სავარაუდოა. $\hat{\theta}$ დამოკიდებულია $x = (x_1, \dots, x_n)$ პასუხების ვექტორზე და ნარმოადგენს θ პარამეტრის შეფასებას, რომელსაც მაქსიმალური დასაჯერობის შეფასებას უწოდებენ.¹

მაგალითად, იმის ალბათობა, რომ θ უნარის მქონე მოსწავლე სწორად ამოხსნის დავალბებას პარამეტრებით a_1, b_1, c_1 არის $P_{a_1, b_1, c_1}(\theta)$ ხოლო იმის ალბათობა, რომ ასეთი მოსწავლე დავალბებას a_2, b_2, c_2 პარამეტრებით არასწორად ამოხსნის, არის $1 - P_{a_2, b_2, c_2}(\theta)$. ამიტომ ლოკალური დამოუკიდებლობის შემთხვევაში იმის ალბათობა, რომ ის პირველ დავალბებას სწორად ამოხსნის, მეორეს კი - არასწორად, იქნება ამ ალბათობების ნამრავლი, ანუ

$$P_{a_1, b_1, c_1}(\theta) (1 - P_{a_2, b_2, c_2}(\theta))$$

θ -ს ის მნიშვნელობა, რომელზეც მიღებული ფუნქცია უდიდეს მნიშვნელობას აღწევს, შეესაბამება იმ უნარის მქონე მოსწავლეს, რომლისთვისაც ამ დავალბებზე ასეთი პასუხების გაცემა მოდელის მიხედვით ყველაზე სავარაუდოა.



¹ მაქსიმალური დასაჯერობის შეფასებები უცნობი პარამეტრის ეფექტურ შეფასებას ნარმოადგენს (ანუ აქვს მინიმალური დისპერსია) და მნიშვნელოვანი ასიმპტოტური თვისებები აქვს (მაგალითად, საკმაოდ ზოგად პირობებში მაქსიმალური დასაჯერობის შეფასებები ასიმპტოტურად ნორმალურია). ამიტომ ამ ტიპის შეფასებებს ხშირად იყენებენ IRT მოდელის პარამეტრების შესაფასებლად.

იმის განსაზღვრად, თუ როგორი შემდეგი დავალბების მიცემისას იქნება მომდევნო მაქსიმალური დასაჯერობის შეფასება მიმდინარე შეფასების ყველაზე კარგი დაზუსტება, გამოიყენება ფიშერის ინფორმაციის ფუნქცია. ეს ფუნქცია გამოხატავს შემდეგ მარტივ მოსაზრებას:

თუ მიმდინარე შეფასების საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ მოსწავლის უნარი არის $\hat{\theta}$, მაშინ ამ შეფასებასთან შედარებით, ძალიან რთული ან ძალიან მარტივი დავალბების მიცემა თითქმის არანაირ დამატებით ინფორმაციას არ მოგვცემს ამ შეფასების დასაზუსტებლად. ასეთ ინფორმაციას მოგვცემს ისეთი დავალბების მიცემა, რომელზე გაცემული პასუხის შესაბამისად, უნარის მიმდინარე შეფასების საფუძველზე, ყველაზე ნაკლებად შეგვიძლია ვარაუდის გამოთქმა. შესაბამისი ინფორმაციის რიცხვითი გამოსახვა შესაძლებელია ინფორმაციის ფუნქციით.

$$I_{a,b,c}(\theta) = \frac{P'_{a,b,c}(\theta)^2}{P_{a,b,c}(\theta)(1 - P_{a,b,c}(\theta))}$$

სადაც $P'_{a,b,c}(\theta)$ არის დავალბების $P_{a,b,c}(\theta)$ მახასიათებელი ფუნქციის ნარმოებული θ -ს მიმართ. შესაბამისად, სამ პარამეტრიანი ლოჯისტიკური მოდელისთვის ინფორმაციის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$I_{a,b,c}(\theta) = \frac{a^2(1-c)}{(c + e^{a(\theta-b)})(1 + e^{a(\theta-b)})^2}$$

ინფორმაციის ფუნქცია მაქსიმუმს აღწევს θ -ს იმ მნიშვნელობაზე, რომლისთვისაც a, b, c პარამეტრების მქონე დავალბებზე პასუხის მიღება ამ θ -ს შესაბამისად ყველაზე მეტ ინფორმაციას მოგვანდის. შესაბამისად, მიმდინარე $\hat{\theta}$ შეფასებისათვის ხელსაყრელია შემდგომ დავალბებად შეირჩეს ისეთი, რომლის a, b, c პარამეტრების შესაბამისი $I_{a,b,c}(\hat{\theta})$ მნიშვნელობა უდიდესია.

ამრიგად, კომპიუტერული ადაპტიური ტესტირება მიმდინარეობს შემდეგნაირად: თავიდან მოსწავლეს ეძლევა რამდენიმე დავალბება სხვადასხვა a, b, c პარამეტრებით. გაცემული პასუხების საფუძველზე დგინდება მისი θ უნარის მაქსიმალური დასაჯერობის შეფასება $\hat{\theta}$, ე. ი. ისეთი $\hat{\theta}$, რომლისთვისაც $L_{a,b,c}(x, \hat{\theta})$ დასაჯერობის ფუნქციის მნიშვნელობა მაქსიმალურია. ამ $\hat{\theta}$ შეფასების საფუძველზე ხდება შემდეგი დავალბების შერჩევა ისე, რომ მისი a, b, c პარამეტრებისათვის $I_{a,b,c}(\hat{\theta})$ ინფორმაციის ფუნქციის მნიშვნელობა $\hat{\theta}$ -ზე უდიდესია. ამ დავალბებზე პასუხი გამოიყენება შემდგომი დაზუსტებული შეფასების მისაღებად და ასე შემდეგ.

იმის დასადგენად, თუ რამდენად ახლოს არის მოსწავლის უნარის მიმდინარე $\hat{\theta}$ შეფასება მისი უნარის ნამდვილ θ მნიშვნელობასთან, გამოიყენება ჯამური ინფორმაცია

$$I_{a,b,c}(\hat{\theta}) = I_{a_1, b_1, c_1}(\hat{\theta}) + \dots + I_{a_n, b_n, c_n}(\hat{\theta})$$

სადაც $a_1, b_1, c_1, \dots, a_n, b_n, c_n$ ტესტირების მიმდინარე ნაბიჯზე მოსწავლისათვის მიცემული დავალბებების პარამეტრებია. $\hat{\theta}$ შეფასების სტანდარტული შეცდომა, ე.ი. ასეთ დავალბებზე პასუხების შედეგად მიღებული შეფასების საშუალო კვადრატული გადახრა შესაბამისი უნარის ჭეშმარიტი მნიშვნელობიდან გამოსახება, როგორც

$$SE(\hat{\theta}) = \frac{1}{\sqrt{I_{a,b,c}(\hat{\theta})}}$$

ანუ, რაც მეტია მიმდინარე დავალბების ჯამური ინფორმაციის ფუნქციის მნიშვნელობა, მით ნაკლები იქნება უცნობი θ პარამეტრის შეფასების სტანდარტული შეცდომა.

ტესტირება გრძელდება მანამ, სანამ მიმდინარე $\hat{\theta}$ შეფასების შესაბამისი $SE(\hat{\theta})$ შეცდომა არ მიაღწევს დასაშვებ ნაკლებ მნიშვნელობას, ე.ი. სანამ არ მიიღწევა შეფასების სასურველი სიზუსტე. გარდა ამისა, ტესტირების დასრულება (გაჩერების წესი) დამოკიდებულია შემდეგი პირობების შესრულებაზე:

- ტესტის სიგრძე (მოსწავლისათვის მიცემულ დავალბებათა რაოდენობა) არ უნდა იყოს ნაკლები წინასწარ დადგენილ მინიმალურ რიცხვზე;
- ტესტის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს წინასწარ დადგენილ მაქსიმალურ რიცხვს;
- ტესტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს წინასწარ დადგენილ დროს.


2011 წლის გამოსაშვებ გამოცდებზე ტესტის მაქსიმალური ხანგრძლივობა იქნება 1 საათი და 40 წუთი. დროის განაწილება ხდება შემდეგნაირად. თითოეულ დავალბებზე მოსწავლეს ეძლევა 2 წუთი. გარდა ამისა, მოსწავლეს აქვს დროის დამატებითი მარაგი - 10 წუთი. მოსწავლეს შეუძლია ამ რეზერვის გამოყენება ცალკეულ დავალბებზე 2 წუთზე მეტი დროის დასახარჯად. პირიქით, თუ რომელიმე დავალბებზე მოსწავლე 2 წუთზე ნაკლებს დახარჯავს, დარჩენილი დრო მის რეზერვს დაემატება. სარეზერვო დროის ამონურვის შემდეგ, ყოველი დავალბება, რომელზეც მოსწავლე 2 წუთის განმავლობაში პასუხს არ გასცემს, განიხილება როგორც არასწორად შესრულებული დავალბება.

გამოსაშვები გამოცდაები

კომპიუტერული ადაპტური ტესტირება 2011 წლის გამოსაშვები გამოცდებისათვის


მე-7 გვერდიდან

ამრიგად, ტესტირების მსვლელობა შემდეგი სქემით გამოისახება:



ტესტირების მსვლელობის მიახლოებითი სურათი შემდეგი დიაგრამით შეიძლება გამოისახოს:

დავალბათა სირთულეები და უნარის მიმდინარე შეფასებები



გარდა a, b, c პარამეტრებისა, დავალებები ბანკში დახარისხებულია შინაარსობრივი არეების მიხედვითაც. ამ დახარისხების საშუალებით დავალებების შერჩევა ტესტირებისას ხდება ისე, რომ ყოველი მოსწავლისათვის მიცემული დავალებები, წინასწარ დადგენილი თანაფარდობით, პროპორციულად იყოს განაწილებული შინაარსობრივი სფეროების მიხედვით. ამისათვის ყოველი შემდეგი დავალების შერჩევა ტესტირებისას ხდება ისე, რომ ყოველი მოსწავლისათვის მიცემული დავალებები, წინასწარ დადგენილი თანაფარდობით, პროპორციულად იყოს განაწილებული შინაარსობრივი სფეროების მიხედვით. ამისათვის ყოველი შემდეგი დავალების შერჩევა ხდება იმ შინაარსობრივი არიდან, რომელიც მოსწავლისათვის მანამდე მიცემულ დავალებებში ყველაზე ნაკლებად იყო წარმოდგენილი.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დავალებების a, b, c პარამეტრების დადგენა, ანუ კალიბრაცია. ამისათვის ტარდება საცდელი ტესტირება, რომლის დროსაც ყველა დავალება ეძლევა მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას. საცდელი ტესტირების შედეგების საფუძველზე, მიიღება, $\hat{\theta}_i$ დასაჯერობის ფუნქციის მსგავსად, დასაჯერობის ფუნქცია $\hat{\theta}_i$ აქ θ_i არის საცდელი ტესტირების შედეგად მოსწავლეების მიერ

გაცემული პასუხები, ხოლო a, b, c და θ_i უცნობი სიდიდეები - შესაბამისად, დავალებების დასადგენი პარამეტრები და საცდელ ტესტირებაში მონაწილე მოსწავლეების უნარები. a, b, c პარამეტრების საძიებელი მნიშვნელობები დგინდება θ_i მნიშვნელობებთან ერთად იმგვარად, რომ მათთვის $\hat{\theta}_i$ დასაჯერობის ფუნქციის მნიშვნელობამ მაქსიმუმს მიაღწიოს.

დავალბათა ბანკისათვის დავალებების საბოლოო შერჩევა ხდება ისეთნაირად, რომ ტესტირებისას მათი პარამეტრები a, b, c უზრუნველყოფდეს შეფასებების SE($\hat{\theta}$) სტანდარტული შეცდომის მაქსიმალურად სწრაფად შემცირებას უნარების მაქსიმალურად დიდ შუალედში. ამისათვის საჭიროა, რომ შერჩეულ დავალებათა a პარამეტრის მნიშვნელობები (დისკრიმინაციები) იყოს რაც შეიძლება მაღალი, b პარამეტრის მნიშვნელობები (სირთულეები) რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული უნარის შესაძლო მნიშვნელობების შუალედში, ხოლო c პარამეტრის მნიშვნელობები, რაც შეიძლება დაბალი იყოს. ზოგადი ინფორმაციის ნახვა კომპიუტერული ადაპტური ტესტირებისა და ტესტურ დავალებათა თეორიის შესახებ შეიძლება ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:

- http://www.psych.umn.edu/psylabs/catcentral/pdf%20files%2004-01.pdf
http://info.worldbank.org/etools/docs/library/117765/Item%20Response%20Theory%20-%20F%20Baker.pdf
http://www.psych.umn.edu/psylabs/catcentral/
http://echo.edres.org:8080/irt/

დროის ლიმიტი კომპიუტერული ადაპტური ტესტირებისას

ტესტურ დავალებებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს გამოყოფილი აქვს 90 წუთი. თითოეული დავალებისათვის პირობითად 2 წუთია განსაზღვრული. აპლიკანტს შეუძლია დავალებებზე მუშაობისას დარჩენილი 10 წუთი გამოიყენოს რეზერვის სახით.

მოსწავლეს დავალებებზე პასუხის გაცემისას დროის რეზერვის კონტროლი რომ გაუმარტივდეს, მონიტორზე ჩანს დროის ლიმიტის აღმნიშვნელი ზოლი, რომლის ნახევარი შეფერილია, რაც იმას ნიშნავს, რომ რეზერვის სახით მას აქვს 10 წუთი.

თუ მოსწავლე დავალებას 2 წუთზე უფრო ადრე პასუხობს, დარჩენილი დრო მის რეზერვს ემატება და ზოლის მუქი ნაწილი იზრდება.

თუ მოსწავლე თითოეულ დავალებას 2 წუთზე მეტს ანდომებს, ეს ლიმიტი თანდათან იწურება, შესაბამისად, ზოლის შეფერილი ნაწილი მცირდება.

დროის რეზერვის ამონურვის შემდეგ თითოეულ დავალებაზე პასუხის გასაცემად პროგრამა მოსწავლეს მხოლოდ 2 წუთს აძლევს. 2 წუთის გასვლისთანავე დავალება ქრება და ჩნდება შემდეგი დავალება.

ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ახალციხის №7 სკოლა-პანსიონის აღსაზრდელებს ლამაზი დღე აჩუქა. ცენტრის ინიციატივით, სკოლა-პანსიონის აღსაზრდელები და მათი პედაგოგები თბილისში ერთი დღით ჩამოვიდნენ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ინიციატივას გამოეხმაურნენ და საქველმოქმედო აქციაში აქტიურად ჩაერთნენ: კინოთეატრი „რუსთაველი“, კომპანია „M-ჯგუფი“, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ახალციხელ ბავშვებს კინოთეატრმა „რუსთაველმა“ უმასპინძლა. პატარები ანიმაციური ფილმის „რიოს“ სეანსს დაესწრნენ.

კინოსეანსის შემდეგ სკოლა-პანსიონის აღსაზრდელები კომპანია „M-ჯგუფმა“ მიწინააღმდეგარსდნენ რესტორანში Two Side და საფირმო კერძებით გაუმასპინძლდა.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯობაძემ და ცენტრის წარმომადგენლებმა ახალციხის №7 სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინეს.

ახალციხის №7 სკოლა-პანსიონი ერთ-ერთია იმ სამი სკოლიდან, რომელზეც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კურატორობა აქვს აღებული. სკოლა-პანსიონში შეტულიებული შესაძლებლობების მქონე 36 მოსწავლე სწავლობს, მათ საერთო სამედიცინო დიაგნოზი აქვს - გონებრივი ჩამორჩენა, ათ მათგანს კი ფიზიკური პრობლემებიც ადენიშნება. სკოლა-პანსიონში მცხოვრები ორი მოსწავლე ჩართულია ინკლუზიური განათლების პროექტში და ახალციხის №5 საჯარო სკოლაში სწავლობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფორთელაძემ და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა საჯარო სკოლების დირექტორების მსურველთა შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები გამოაცხადეს.

კონკურსის მონაწილეებს მათ მიერ მიღებული ქულების ნახვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და სამინისტროს ვებგვერდებზე შეუძლიათ. ამისათვის დირექტორების მსურველებმა საიტზე განთავსებულ სიაში საიდენტიფიკაციო კოდი უნდა მიუთითონ.

შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის განმავლობაში, დირექტორების მსურველს უფლება აქვს, შედეგები სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საპრეტენზიო კომისიაში გაასაჩივროს. კომისიის საჩივრის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად 10 დღის ვადა ეძლევა.

დირექტორების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება საპრეტენზიო კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ დაინიშნება. დირექტორების მსურველებს საშუალება ეძლევათ, გასაუბრებისთვის თემა თავად აირჩიონ, რომლის პრეზენტაციასაც სპეციალური კომისიის წინაშე გამართავენ.

დირექტორების შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი, რომელშიც 1700-მდე ადამიანი მონაწილეობდა, საქართველოში პირველად, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ჩატარდა. თითოეულმა მონაწილემ ინდივიდუალური ტესტი შეავსო.

დირექტორების მსურველებმა კითხვებს რამდენიმე მიმართულებით უპასუხეს: საკანონმდებლო ბაზა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასება სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის ფინანსური მართვა, ლოგიკური მსჯელობა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. შესაბამისი მასალა დაინტერესებული პირებისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე იყო ხელმისაწვდომი. ტესტი სულ 100 შეკითხვისგან შედგებოდა. კონკურსში მონაწილეობას, დირექტორების მოვალეობის შემსრულებლების გარდა, ის მოქალაქეებიც იღებდნენ, რომლებსაც აქამდე სკოლის დირექტორად არ უმუშავიათ.

ფერები, ტანსაცმელი, ტრადიციები



2011 წლის 15 აპრილს თბილისის 30-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელმა **მზია სარდალაშვილმა IX** კლასში ჩაატარა ღია გაკვეთილი თემაზე: „Colours, clothes and traditions“ („ფერები, ტანსაცმელი და ტრადიციები“). გაკვეთილი მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ლექსიკური მასალის ფლობას, გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებას (ზედსართავი სახელის მიღება და წარმოება), ინტერესსა და ტოლერანტულ დამოკიდებულებას მსოფლიო კულტურული თავისებურებების მიმართ. მოსწავლეები განამტკიცებდნენ მიღებულ ცოდნას და განავითარებდნენ მეტყველების კულტურასა და კრიტიკულ აზროვნებას. დაეალებად მიცემული ჰქონდათ ინფორმაციის მოძიება ინტერნეტ-

ში სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ტანსაცმელსა და ტრადიციებზე (საქართველო, აშშ, ინგლისი, გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ეგვიპტე, კორეა, იაპონია, ინდოეთი). გაკვეთილის მსვლელობაში მონაწილეობდა მოხალისე მასწავლებელი აშშ-დან **კლერი კრისაფი**, რომელმაც ამერიკელი თინეიჯერების ჩაცმულობის შესახებ ისაუბრა. გაკვეთილი დაიწყო ლუი არმსტრონგის ცნობილი სიმღერით: „What a wonderful world“ („რა ლამაზია სამყარო“), რითაც განვითარდა მოსმენის უნარ-ჩვევა. მოსწავლეებმა ამოკრიბეს ზედსართავი სახელები მოსმენილი სიმღერიდან და შეადგინეს წინადადებები (ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა). ისაუბრეს მსოფლიოს ქვეყნებ-

ბის მრავალფეროვანი ტრადიციების შესახებ და სხვადასხვა ქვეყნებს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე წარმოსახვით მიუსადაგეს სხვადასხვა ფერი; აჩვენეს მსოფლიოს ხალხთა ჩაცმულობა და წარმოადგინეს ინფორმაცია ტრადიციული ტანსაცმლის შესახებ, შეასრულეს შესაბამისი ციკვები.

გაკვეთილის უკეთ გაგების მიზნით, მასწავლებელმა ჯგუფებს წერილობითი სამუშაოსთვის მისცა სააზროვნო კითხვები.

მოსწავლეებმა ისაუბრეს ტანსაცმლის ბუნებრივი და ხელოვნური მასალისაგან დამზადების შესახებ, აღნიშნეს, რომ ულამაზესი ტანსაცმლის დამზადებას ბევრი იშვიათი ჯიშის ცხოველი ეწევა. ასოციაციური წრის გამოყენებით, მოსწავლეები წერდნენ თავიანთ შეხედულებებს ცხოველების განადგურებისა და გადაშენების პრობლემებზე, მოჰყავდათ ფაქტები და მიზეზები, ინტერაქტივში მონაწილეობის დროს დეტალურად აღწერდნენ სიტუაციებს, გამოხატავდნენ პროტესტს, იძლეოდნენ გზებს, ყვებოდნენ ორგანიზაციების შესახებ და წარმოადგენდნენ მათ წვლილს ბუნების დაცვის საქმეში.

წარმოდგენილ იქნა პროექტები სხვადასხვა ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებზე (საქართველო, აშშ, კორეა, იაპონია) – ვიზუალური მასალა და შექმნეს ვებგვერდი www.fashionkj.wordpress.com (გაკვეთილზე იაპონიის მასალის წარმოდგენამდე, აუდიტორიამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის დროს დაღუპულ ადამიანებს).

პროექტებზე მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობდნენ – მოახდინეს ცოდნისა და უნარების მობილიზება, გადაინაწილეს ფუნქციები, შეარჩიეს, დაამუშავეს ინფორმაციები, ჩაატარეს რეპეტიცია პრეზენტაციისთვის და წარადგინეს აუდიტორიის წინაშე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ამერიკელი მასწავლებელი.

გაიმართა ტანსაცმლის მოდელების ჩვენება, რომელიც კლასიკურ, სპორტულ, თინეიჯერულ და სასკოლო სტილს მოიცავდა. გამოყენებულ იქნა რესურსები: მსოფ-

ლიოს რუკა, პლაკატები, რეკლამა, კომპიუტერი, პროექტორი, ცოცხლად შესრულდა ქართული და მსოფლიო ხალხთა ციკვები.

სწავლება ეყრდნობოდა მეთოდურ მიმართულებებს: მოსმენა, წერა, ლაპარაკი, კულტურათა დიალოგი.

გაკვეთილი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა.

ნინო ჩიქოვანი
თბილისის №30 საჯარო სკოლის დირექტორი



კოეზიის საღამო უნივერსიტეტში



ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ხანია ტრადიციად იქცა საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი საღამოები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ახალი სასწავლო წლისათუ სემესტრის დაწყების საჯარო აღნიშვნა და ა.შ. მიმდინარე წლის 11 აპრილს უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში პოეზიის საღამო გაიმართა. მოწვეულნი იყვნენ ცნობილი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები, ბატონები: **ნუგზარ წერეთელი, ტარიელ ჭანტურია**, ახალგაზრდა პოეტი **ლაშა გელაშვილი**. პოეზიის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა**. მან ხაზი გაუსვა ასეთი შეხვედრების მნიშვნელობას სტუდენტი ახალგაზრდობისათვის და არაერთი საინტერესო ამბავი გაიხსენა თანასკოლეულ ტარიელ ჭანტურიასა და უნივერსიტეტის დამფუძნებელ ნუგზარ წერეთელთან მეგობრული ურთიერთობიდან. მან ილაპარაკა აგრეთვე უნივერსიტეტის პერსპექტივებზე. მოწვეული სტუმრების შემოქმედებაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის ლექტორი, პროფესორი **თამარ გელაშვილი**. სტუმრებს გულთბილად მიესალმ-

თელთან მეგობრული ურთიერთობიდან. მან ილაპარაკა აგრეთვე უნივერსიტეტის პერსპექტივებზე.

მოწვეული სტუმრების შემოქმედებაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის ლექტორი, პროფესორი **თამარ გელაშვილი**. სტუმრებს გულთბილად მიესალმ-

ნენ ლექტორები: **ნინო დარცმელია, მამია დღვილავა**, სტუდენტები: **ლაშა ვერულიძე, ანუკა სალუქვაძე, ნინო ამირიძე** და სხვები, რომლებმაც რამდენიმე ლექსი წაიკითხეს, მათი შემოქმედებიდან. გაიმართა ქართული ხალხური ციკვებისა და სიმღერების კონცერტი, რომელიც დაასრულა უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის, **რუსუდან მექვაბიშვილის** მიერ შესრულებულმა არიამ. ასევე მონაწილეობა მიიღო პროფესორმა **გელა ოზბეთელაშვილის** გამოსვლას, რომელმაც გიტარაზე შეასრულა ფრანგული მუსიკალური ნომერი. დასასრულ, სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს შეხვედრის ორგანიზატორებს, დამსწრე საზოგადოებას და საკუთარი ლექსები წაიკითხეს. ეს საღამო კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უკვდავია პოეზიის მადლით გასახიფოვნებული ქართული სული, მისი ანწყობა და მომავალი.

ხვთისაგარ არჩეაშვილი



თემა – „დიდი ბრიტანეთი“

თბილისის №57 საჯარო სკოლაში ოფიციალურად გაიხსნა ინგლისური ენის კლუბი „ინგლისური ყველასთვის“.

კლუბი საზეიმოდ გახსნა სკოლის დირექტორმა **იოსებ ხუციშვილმა**. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: სტუმარი ბრიტანეთის საბჭოდან, ქალბატონი **თამარ კვაჭაძე**; ინგლისური ენის პედაგოგები, მათ შორის ამერიკელი კოლეგები, უურნალისტიები, მოსწავლეები.

სკოლის ინგლისური ენის კათედრის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა საპრეზენტაციოდ წარმოადგინეს ნამუშევრები თემაზე „დიდი ბრიტანეთი“. ინგლისური ენის შესწავლის და განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კლუბის მუშაობას, ის ხელს შეუწყობს ენის ღრმად დაუფლებას და ამ ენაზე აზროვნების და მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას.

ნათუნა არჩვაძე
ინგლისური ენის კლუბის პრეზიდენტი, პედაგოგი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შამკინმა** ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის (IT) 40-მდე წარმატებულ კურსდამთავრებულს სერტიფიკატები გადასცა, ყველა მათგანი უკვე დასაქმებულია. ღონისძიებას იმ კომპანიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, სადაც კურსდამთავრებულები მუშაობენ. ეს კომპანიებია: **ITDC, PROPAGANDA HQ, Websolution**, „კავკასუსი“, „სილქნეტი“, „ახალი ქსელები“, „მუზიკ ბოქსი“. დაჯილდოებულ კურსდამთავრებულებს, 2010-2011 წლებში, მინიჭებული აქვთ პერსონალური კომპიუტერებისა და კომპიუტერული ქსელების ტექნიკოსის, ვებტექნოლოგიების ოპერატორის, აუდიო-ვიდეოგამოსახულების ოპერატორის, კომპიუტერული საგამომცემლო სისტემებისა და ვიზუალური გამოსახულების ოპერატორის კვალიფიკაციები. დიმიტრი შამკინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პროფესიული კოლეჯების მნიშვნელობას და აღნიშნა: „მიმდინარეობს ამ დანერგულ მნიშვნელოვანი პროფესიული განათლების შეთავსება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კოლეჯები თანამშრომლობენ პოტენციურ დამსაქმებლებთან პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მომზადებული კადრების წარმატებულ დასაქმებას. ახალი ტიპის პროფესიული სწავლების კოლეჯები ის ინსტრუმენტია, რომელიც სამი პრობლემის გადაჭრაში გვეხმარება: დასაქმება, ეკონომიკური ზრდა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი“.

საგანმანათლებლო პროგრამის „სწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში, გრძელდება ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებელთა ჩამოსვლა. ამჯერად, მორიგი ჯგუფი ამერიკიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან, ახალი ზელანდიიდან და სამხრეთ აფრიკიდან ჩამოვიდა. ინგლისურენოვანი პედაგოგები, ტრადიციულად, ტრენინგს გაივლიან და სამეგრელოსა და ქვემო ქართლის რეგიონების საჯარო სკოლებში გადამწავლდებიან. მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, მოხალისე პედაგოგები, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან. „სწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროექტის ფარგლებში, ინგლისურენოვანი პედაგოგთა ჩამოსვლისა და საჯარო სკოლების მოხალისე მასწავლებლებით შევსების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

დედაენა - სხოვრების წყარო

14 აპრილს, საქართველოში დედენის დღე აღინიშნება. ეს თარიღი 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს უკავშირდება, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მასობრივი გამოსვლა მოაწყო და წინ აღუდგა სსრკ-ს ხელი-სუფლებების გადაწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ.

კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა.

თბილისის მერიის მთავარ ბიბლიოთეკას - 21-ე ბიბლიოთეკასა და 144-ე საჯარო სკოლას არაერთი ერთობლივი პროექტი განუხორციელებიათ, მათ შორისაა დედენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც I-VI კლასების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა მოამზადეს. ღონისძიების ჩატარებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაო, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები და სკოლის პედაგოგები: ხელოვნების პედაგოგი **ფიქრია შათირიშვილი**, მუსიკის მასწავლებლები - **მარინა კელეშტრიშვილი**, **ეკა მიტინაშვილი** და ხალხური სიმღერებისა და საკრავების ანსამბლის ხელმძღვანელი **მაია ტრაპაიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ქეთი ქათამაძე**, დაწყებითი კლასების პედაგოგები - **ნატო ხაჭაპურიძე**, **მარინა გამცემლიძე**, **მაკა**



კორსავა, მაია ჭანტურია. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ავთანდილ მეგრელიშვილის, იოსებ ნონეშვილის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილის ლექსები, გაცნენ უძველესი ასომთავრული, ნუსხური წარწერებითა და ხელნაწერებით მომზადებულ სლაიდ-მოუს, შეასრულეს ქართული სიმღერები და ცეკვები.

ბიბლიოთეკის გამგემ **ზეინაბ ზაქარიაშვილმა** სკოლის კოლექტივსა და მოსწავლეებს დედენის დღე მიულოცა და მშობლიური ენის მნიშვნელობაზე ისაუბრა. სკოლის დირექ-

ტორმა, **მანანა კიკაჩიშვილმა** დადებითად შეაფასა სასკოლო ღონისძიება და მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, 21-ე ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს: **ზეინაბ ზაქარიაშვილსა და მადონა აღანიას.**

მონაწილეებმა საღამო დაასრულეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებით: „ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასში მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლი-



ლი ვარდით მშენიერია იგი და ახლადამოსული მზის ცხოველყოფილი სხივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი სანყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი“.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, 2011 წლის 7-15 აპრილს, სკოლაში განხორციელდა მრავალი სხვადასხვა აქტივობა: კედლის გაზეთების კონკურსში მონაწილეობდნენ II-XII კლასის მოს-

წავლეები; მომზადდა სასკოლო ელექტრონული ლიტერატურული ჟურნალის სპეციალური ნომერი; VI კლასებს შორის ჩატარდა ვიქტორინა: „ვინ უკეთ იცნობს მშობლიურ ენას?“, 14-15 აპრილს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებმა ყველა კლასში ჩატარეს ლექცია-სემინარი თემაზე - „ქართული დამწერლობის წარმოშობის თარიღის მეცნიერული კვლევა“.

ქეთი ქათამაძე

144-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



ია ია

(ჩანახატი)

ლებითაც თითოეული და ყველა ერთად საიმედო ხელით უჭირავს მასწავლებელს. ფარული ჭიდილია უპირატესობის მოპოვებისათვის აღსაზრდელებსა და აღმზრდელს შორის.

დგას. სასოებით უჭირავს ხელში „დედაენა“. პირველი ასოებით - „ა“, „ი“, პირველი სიტყვით „ია“, პირველი წინადადებით „ია ია“ სიბრძნის უხილავი სამყაროს კარი უნდა გააღოს და შიგნით აღსაზრდელებს, ასწავლოს სამყაროსეული სიბრძნის ამოკითხვა, აზიაროს მას.

ია - რა ძალა აქვს ამ პატარა, ნაზ, სუსტ ყვავილს. არ ეპუება ზამთრის სუსხს, ყინვას, პირველი ამოხეთქავს მიწის გულიდან. თუ დასჭირდება, კლდესაც გააპობს, რომ გაზაფხულის მოსვლა ახაროს „დედაბუნებას“. „ია“-თი იღება ღვთაებრივი სიბრძნის სამყაროს კარები, „ია“-თი იკითხება სამყაროსეული სიბრძნე. იის ძალა და ენერჯია ვინ და რამ ჩადო ასოებში - „ა“, „ი“, სიტყვაში „ია“, წინადადებაში „ია ია“?!

ია - წარმოთქვა მასწავლებელმა. უცებ საკლასო ოთახი უფასრულობამ შთანთქა. შორს, ძალზე შორს, უკუნ სიბნელებში. ნათელი, ღვთაებრივი სიბრძნე ნათლად ქცეული,

გაბრწყინდა, მოხუცი ბრძენიც გამოჩნდა, მოდის და თან სასოებით მოაქვს ეს ნათელი საუკუნეების მიღმიდან, რათა თაობებს გადასცეს. აი, დაიდრენ ბნელი ძალები და მთელი ძალით შეასკნენ მოხუცს, რომ ეს ნათელი, ერის გენია და უკვდავების საძირკველი, წარსტაცონ. ვერა, ვერ შეძლეს! მოხუცი თავგანწირვით იბრძვის, არ ანებებს, ძალა გამოელა, წამოიჩოქა კიდევ. ბნელი ძალები კი იზრდებიან და იზრდებიან. უცებ მოხუცის ირგვლივ თოროსანი რაინდები ამოიზარდნენ. ისინი თავგანწირვით ეკვეთნენ ბნელ ძალებს, მაგრამ ვერ ძლიეს. მკერდაპობილები ცვივიან მიწაზე. აი, უკანასკნელიც დაეცა. ბნელი ძალები წასწვდნენ ნათელს, ის-ის არის, უნდა წაგლიჯონ მოხუცს, რომ მან მოასწრო და ხელი აიქნია... ახლა მის ხელში ანბანი გაჩნდა, სამყაროსეული სიბრძნე ანბანში შეფარებული. ბნელი ძალები შედგნენ, უკუიქცნენ, შემდეგ შემოტრიალდნენ და ერთიანი ძალით კვლავ შემოუტყეს მოხუცს, რომ ანბანს დაეფლონ. ასოები სიტყვებად იქცნენ და წიგნში ჩალაგდნენ, ცაზეც აღიბეჭდნენ, მიწაზეც, ქვეზეც, კლდეებზე, დედის მიერ გამოცხვარ პურებზეც კი. ბნელმა

ძალებმა ახლა წიგნზე მიიტანეს იერიში. აჰა, მიწიდან კვლავ ამოიზარდნენ თოროსანი რაინდები, თავგანწირვით იქნევენ ხმალს, მოხედურთ წიგნს ახლოს არ აკარებენ, მაგრამ თვითონაც მკერდაპობილი ენარცხებიან მიწას. აი, უკანასკნელიც დაეცა. წიგნს საფრთხე დაემუქრა. უცებ მოხუცსა და ბნელ ძალებს შორის დედები წამოიშალნენ შვილებით ხელში. თმაგანწილი და სახეშეშლილი ცეცხლში ყრიან საკუთარ შვილებს და თვითონაც შიგნით, მოხუცის წინ ცეცხლის ალი ბრიალებს და ბნელ ძალებს გზას უჭრის. ისინი ვეღარ უძლებენ, უკან იხევენ, შემდეგ ქრებიან. მოულოდნელად ფერფლსა და დედების ცრემლით გაჯერებული მიწიდან ნაზ-მა იამ ამოყო თავი, მზეს შესცინა, მიხედ-მოიხედა და წიგნზე დაბრძანდა.

ია - აგუგუნდა მთელი ბუნება, საოცარი მუსიკის ხმა დაიარსა.

ია - წარმოთქვა მასწავლებელმა და მის ხელში ცეცხლსა და სისხლის წვიმებში გამოტარებული და გამობრძმედილი ერის გენია და უკვდავების საძირკველი ანბანი, „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“ გაბრწყინდა.

ია - გაიმეორეს ბავშვებმა და მათ წინაშე გაიხსნა სიბრძნის კარი, გადაიშალა სიბრძნის სამყარო.

ქეთი ხარაბაძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** თბილისის №161 საჯარო სკოლაში თვალის სწვლევათა კლინიკა „მზერას“ მიერ ორგანიზებულ აქციაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდა კლინიკის გენერალური დირექტორი, პროფესორი **გიორგი ჩიჩუა**.

აქციის ფარგლებში, კლინიკის მაღალკვალიფიციურმა ექიმებმა 161-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფასო გამოკვლევა-გასინჯვა ჩაუტარეს, მხედველობის სიმახვილის განსაზღვრის მიზნით, ასევე, ჩაუტარდათ სკიასკოპია - რეფრაქციის შემოწმება და არაპირდაპირი ოფთალმოსკოპია.

კლინიკის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს შემდეგი უფასო კლინიკური გამოკვლევები შესთავაზეს: მხედველობის კორექცია; ბინოკულური სტატუსის განსაზღვრა; ბიომიკროსკოპია; არაპირდაპირი ოფთალმოსკოპია; რეფრაქციის კვლევა კომპიუტერული მეთოდით, ვინრო გუგითა და ციკლოპეგის პირობებში; სათვალის შერჩევა. კლინიკაში კონსულტირებულ ყველა ბავშვს გაეხსნება ამბულატორიული მომსახურების ბარათი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას მისი ავადმყოფობის ისტორია.

თვალის სწვლევათა კლინიკა „მზერა“ ტრადიციული სამკურნალო დაწესებულებაა, სადაც ბავშვთა და მოზარდთა მხედველობის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რადგან ბავშვთა ასაკში ჩატარებული გამოკვლევა მრავალი პათოლოგიის პროფილაქტიკისა და დროული, შედეგანი მკურნალობის გარანტია. კლინიკაში არსებული უახლესი აპარატურა ზუსტი დიაგნოსტიკისა და ეფექტური მკურნალობის საშუალებას იძლევა და ითვალისწინებს ისეთი პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, როგორიცაა რეფრაქციული ანომალიები (ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი) და სიემე.

კლინიკა მსგავს აქციებს სხვა საჯარო სკოლებშიც განახორციელებს. პროექტის მიზანია ბავშვთა მხედველობის პათოლოგიის დროული გამოვლენა, ასევე, მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისათვის.

სპორტი

ფეხბურთელები სტუმრად სკოლაში



12 აპრილი დიდხანს ემასხოვრებათ ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს - ამ დღეს ხომ მათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ესტუმრნენ, რომლებმაც მოსწავლეებთან ფეხბურთი კი ითამაშეს. სკოლას კლუბის სპორტული დირექტორი, ახლო წარსულში ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ნემსაძე და გუნდის ახლანდელი წევრები - ალექსანდრე კოშკაძე, გიორგი ლორია, ჩეხი ლეგიონერი ირეი ჰომოლა, გუნდის პრეს-ატაშე გიგა გვენცაძე და ამავე სკოლის კურსდამთავრებული გიორგი თეთრმანიძე ეწვივნენ. ამ აქციის უმთავრესი მიზანი ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება იყო,

თუმცა პარალელურად „დინამოსადმი“ ინტერესის კიდევ უფრო გაღვივებას, კლუბისა და ფეხბურთის პოპულარობის კიდევ უფრო გაზრდასაც ემსახურება. ფეხბურთელების სკოლაში სტუმრობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია და დიდი აუიოტაჟის ქვეშ, სრული ანულაგით ჩაიარა. სტუმრები ვერ აუდიოდნენ ავტოგრაფების დარიგებას და ფოტოების გადაღებას, ამ შანსს არც ერთი მოსწავლე ხელიდან არ უშვებდა და ფეხბურთელებიც სამი საათის განმავლობაში არიგებდნენ ავტოგრაფებს. სკოლის სააქტო დარბაზი მსურველებს ვერ იტევდა, სადაც მოზარდებს საპატიო სტუმრები სკოლის დირექტორმა თეიმურაზ კიკნაძემ წარუდგინა. ფეხბურთელები ბავშვებს

„დინამოს“ სახელოვან ისტორიაზე ესაუბრნენ და კლუბის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური ფილმიც იქვე აჩვენეს. ცხადია, ამ ყველაფერმა მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ მათ მთავარი სიახლეა ნინ ელოდათ, როცა სტუმარ-მასპინძლიანად ყველამ სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გადაინაცვლა და „ოთხთა ტურნირში“ ითამაშა. თუმცა მასში მონაწილეობა შეზღუდული იყო - მესუთეკლასელები თამაშობდნენ. მათგან კლუბის ოთხმა ფეხბურთელმა ოთხი გუნდი ჩამოაყალიბა, მოთამაშე-მწვრთნელებადაც თვი-


თონ მოგვევლინენ და ფეხბურთიც გაჩაღდა. ეს 10-10-წუთიანი მატჩები იყო, რომელთაგანაც თავიდან ორივე ფრედ დამთავრდა და ორივეში გამარჯვებული პენალტებით გამოვლინდა - პირველ შეხვედრაში თურქეთურმანიძის გუნდმა კოშკაძისას აჯობა, მეორეში კი ლორიამ - ჰომოლას თანაგუნდელებს. ამ შეხვედრაში საინტერესო იყო თავად ფეხბურთელთა პაექრობა - ეროვნული ნაკრების მეკარე ლორიამ თავისი წილი პენალტი ხომ ზუსტად შეასრულა, მერე კარში ჩადგა და ჰომოლასაც აულო. ფინალში უკვე მანაც ვერაფერი გაანყო თურქეთურ-

მანიძის გუნდთან, რომელიც ჩემპიონი გახდა. ფინალისტებს „დინამოს“ ლოგოთი დამშვენებული მაისურები გადაეცათ, ჩემპიონებმა კი დამატებითი თასები და სიგელები მიიღეს. საჩუქრები სხვებსაც ერგოთ - მოთამაშეებსაც და მათ მრავალრიცხოვან ქომაგებსაც, რომლებსაც საქართველოს ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრის - „დინამო“-„ოლიმპის“ მატჩის მოსწავლეები გადაეცათ. განზრახულია, რომ თბილისის „დინამო“ მსგავს შეხვედრებს დედაქალაქის სხვა სკოლებშიც ჩაატარებს.



ბერეაშვილის მემორიალი

ოთხი მედალი ბაქოდან



რამდენიმე დღის წინ გორში ოცდამეათედ ჩატარდა მიხეილ ბერეაშვილის სახელობის მემორიალი ქაბუკთა შორის. ეს შეჯიბრება ადრე ადგილობრივი მნიშვნელობის გახლდათ, ბოლო წლებში კი მასში სისტემატურად მონაწილეობენ აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები. ისინი წლებულსაც გვესტუმრნენ, შეჯიბრება კი ფრიად სოლიდური გამოდგა - 200-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა. ეს იმანაც განაპირობა, რომ საქართველოს ქაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ასევე გორელმა ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა გიორგი ვაზაგაშვილმა ტურნირი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელთა სიაში შეიტანა. გუმანმა არც უმცხუნა - შეჯიბრებაში საქართველოს 4 წევრანდელი ჩემპიონი გამოვიდა და მათგან ოქროს მოპოვება მხოლოდ თბილისელმა მიხეილ კირკიტაძემ (50) შეძლო. დამარცხდა მძიმე წონაში ქვეყნის ჩემპიონიც, ზესტაფონელი გიორგი ლაზუაშვილი, რომელმაც წლეულს ანთალიაში გამართული ევროპის თასიც მოიგო - მას ფინალში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა, გორელმა გიგა გელაშვილმა აჯობა, რომელსაც ბერეაშვილის სახელობის თასიც გადაეცა. ამით გარდა, ტურნირის ჩემპიონები თბილისელები - ჯუმბერ ჩხიაშვილი (60), აპოლონ ზურაბიანი (66), ავთანდილ დურგლიშვილი (73), გურამ თუშუშვილი (90), ბათუმელი ბაჩანა ბოლქვაძე (55) და სამაჩაბლოელი ლაშა ქრისტესიაშვილი (81) გახდნენ.

მწირი დაფინანსების ამარა დარჩენილი ქალთა ძიუდო შეჯიბრებებზე წასვლას იშვიათად თუ ახერხებს და, ძირითადად, ახლო სამეზობლოში გამართულ ტურნირებს ეტანება. ასე მოხდა ამჯერადაც, როცა 16-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა ბაქოდან მიიღო მინვევა და სიახლოვებით დათანხმდა. შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა, მაგრამ არც ჩვენები დარჩენილან ხელცარიელნი - 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. ფინალში გურანდა შოთაძემ (52), მარიამ ცხელაშვილმა (57) და ანა მინდიაშვილმა (63) იჭიდავეს. გუნდის თავკაცს, ოლიმპიადისა და მსოფლიოს პრიზიორ გია თენაძეს სამწუხაროდ მხოლოდ ის თუ დარჩება, რომ ფინალში მისი სამივე შეგირდი დამარცხდა. ბრინჯაოს მედალი მარიამ ჯანაშვილმა (57) მოიპოვა, რომელიც წლეულს მშვენიერ სეზონს ატარებს - ანთალიაში გამართული ევროპის ქაბუკთა პრიზი მოიგო.

მოჭიდავე გოგონების ახალი წარმატება

ქართული სპორტის მდიდარ მიღწევებში ლომის წილი საჭიდაო სახეობებზე მოდის, თუმცა ქალების წილი აშკარად „თეთრი ლაქა“ა. გასული საუკუნის ბოლოს ქალთა ძიუდოში საკმაო წარმატებები მოგვეპოვებოდა, მაგრამ მერე ქვეყანა აირია და ის თაობაც დაიკარგა. მხოლოდ ერთმა მათგანმა - თეა დონღუაშვილმა მოსკოვში გადასვლით უშველა თავს და დღეს რუსეთის სახელით ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის რამდენიმე გზის მედალოსანია. ბოლო წლების საქართველოში

ქალთა წილობამ ხელახლა დაიწყო აღორძინება - გაჩნდნენ ჯგუფები როგორც ჩვეულებრივ წიდაობაში, ასევე - ძიუდოში, თუმცა ვიდრე ამ ძირითად სახეობებში იზვიებდნენ წარმატებებს, მანამდე პარალელურად სამბოში გამოდიან და ჯერჯერობით ყველაზე დიდი მიღწევებიც იქ მოიპოვეს - შარშან თბილისში გამართულ ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატში ნინო ოქელაშვილმა (70) გაიმარჯვა, რამდენიმე დღის წინ კი პრალაში გამართულ ასევე ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე შორენა შარაძე (64)

კონტინენტის ჩემპიონი გახდა! საამისოდ მან ქვეჯგუფში სლოვენელ პოლინა ლამბეს და ლიტველ ინესა ვალიჩნუტეს მოუგო, ხოლო ფინალში რუსი ვიქტორია ბარულინა დაამარცხა. პრალაში ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებშიც ტარდებოდა და ქაბუკებშიც, ჩვენი ბიჭები კი ორივე ასაკში, ტრადიციულად, დიდი წარმატებით გამოვიდნენ. განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებმაც 9 მედალი მოიპოვეს, რაც ხარისხის მიხედვით თანაბრად გაანაწილეს - სამივე სინჯის 3-3 ჯილდო

ირგუნეს. ჩემპიონები ლევან ბერბერაშვილი (48), ზვიად კაპანაძე (68) და მიხეილ ნარიმანიძე (100) გახდნენ. გივი ნადარეშივილი (52), ვახტანგ ჩიდრაშვილი (57) და გიორგი პაპუნაშვილი (74) ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვეს, ბრინჯაო კი ლაშა ზურაბიანს (82), გიორგი ნოზაძეს (90) და სლავა რეზესიძეს (+100) ერგოთ. ამ ნაკრებიდან უმედილოდ მხოლოდ ერთი დარჩა - ივანე გოგიაშვილი (62), რომელიც მეშვიდეზე გავიდა. ჩვენებმა გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაშიც. თაობათა ცვლის გამო ლამის

მთლიანად გადახალისებული ქაბუკთა ნაკრების მონაგარი (ზემოდასახელებული ახალგაზრდების უმრავლესობა შარშან ამ გუნდში გამოდიოდა) შედარებით მწირია, თუმცა არა ურიგო - 1 ოქრო და 4 ბრინჯაო. ამ ასაკში ევროპის ჩემპიონი ბექა ტუღუშვილი (65) გახდა, მესამე ადგილებზე კი ვარლამ შალიკაშვილი (52), თორნიკე მუზაშვილი (56), მიხეილ მეზურნიშვილი (70) და ალექსანდრე მილიანი (87) გავიდნენ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაძე

„ახალი განათლება“ ღირსის თარიღი

შემდეგი ტომის ხელმოწერის
თანხა უნდა ჩარიცხვით
30 აპრილამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი,
სკოლა, სახელი და გვარი.

**შესაძლებელია ინდივიდუალური
ხელმოწერები!**

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა

გადმორიცხვით რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22,
ა/ა GE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ბ/კ CBASGE22,
ა/ა GE46BS0000000030236563,

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22,
ა/ა 123631000

უპროპორციული ახალი ხელმოწერები



„რა არის რა“
ერთი ტომი – 11 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის
კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი



მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის მიერ გამოცემული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის
რეკვიზიტებია:
სამართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000